53
1934


# ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის, რექტორატის პროფ-ორგ. ორგანო

რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.


**ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ბრძოლებში ოქტომბრის რევოლიუციისათვის.**

**ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის.**

**ამავე დროშით გავიმარჯვებთ ჩვენ პროლეტარულ რევოლიუციაში მთელს მსოფლიოში.**

**გაუმარჯოს ლენინიზმს!**

**ი. სტალინი**

№ 1 (7-8) | 24 იანვარი 1934 წ. | № 1 (7-8)

# 10 წელი ულენინოთ — ლენინის გზით ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით

## ათი წელი ულენინოთ

ათი წლის წინათ მთელი მსოფლიო შეარყია ცნობამ.

— გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი.

უდიდესი გულისტკივილით გამოეხმაურენ ამ ცნობას კაპიტალიზმის ყველა მონები მსოფლიოს ყველა კუთხეები, და ისინიც, ვინც ლენინის პარტიის მეთაურობით, ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით დაამხო კაპიტალიზმის ბატონობა რუსეთში და აშენებდა უკლასო საზოგადოებას.

და მაშინ, როცა მთელი მშრომელთა მსოფლიო შეშფოთებული იდგა ლენინის ცხედართან, როგორც დიადი მოწოდება გაისმა სტალინის — ლენინის საუკეთესო ამხანაგის და თანამებრძოლის ფიცის უბრალო და ამავე დროს ფოლადისებური რწმენით აღსავსე სიტყვები. ამხ. **სტალინის** სახით განსვენებულ დიდ ბელადს ფიცს აძლევდა ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია, ფიცს აძლევდნენ რევოლუციონურ მშრომელთა მილიონები.

განსვენებულ ბელადს მივეცით ფიცი, რომ მაღლა დავიჭერთ და წმინდათ შევინახავთ პარტიის წევრის დიდ სახელს.

— თვალის ჩინივით მოუვლით პარტიის მთლიანობას.

— დავიცავთ და განვამტკიცებთ პროლეტარიატის დიქტატურას.

— ყველა ძალებით გავამაგრებთ მუშათა და გლეხთა კავშირს.

— განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ რესპუბლიკების კავშირს.

— არ დავზოგავთ ძალებს, რომ გავამაგროთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი.

— სიცოცხლეს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ გავამაგროთ და გავაფართოვოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი.

და ეს ფიცი, მიცემული ბელადის კუბოსთან, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა მთლიანად შეასრულა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

ათი წელი ულენინოთ — ეს იყო წლები უდიდესი ბრძოლებისა სოციალიზმისათვის ლენინის ანდერძის მიხედვით, ლენინურ დროშის ქვეშ.

ათი წელი ულენინოთ — ეს იყო წლები უდიდესი გამარჯვებებისა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ჩვენ უდიდესი წარმატებით ოთხწელიწადში შევასრულეთ პირველი ხუთწლედი და ასეთივე წარმატებებით ვასრულებთ მეორე ხუთწლედის დიად ამოცანებს.

ჩვენ გამოვედით მოწინავე ინდუსტრიალური ქვეყნების პირველ რიგში, „სოციალიზმმა გაიმარჯვა მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც" („პრავდა").

უსასტიკეს კლასობრივ ბრძოლებში, მემარჯვენე - „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგობის გაცამტვერებით, საბჭოთა ქვეყანამ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გაიარა დიდი გზა მთელი ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნისა; ჩვენი უდიდესი გამარჯვება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ჩვენ გავხდით მოწინავე მრეწველობის ქვეყნად, სოციალისტური მიწადმოქმედების ქვეყნად, არამედ იმაშიც, რომ საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნა დაკავშირებულია მთელი მშრომელი მასების სოციალისტურად აღზრდასთან, წინად უვიცობის და სიბნელის ტყვეობაში მყოფ, უკულტურო ცხოვრებისათვის განწირულ ათეულ მილიონების გამოჭედვასთან ახალი ცხოვრების შეგნებულ მშენებლებად. ბრძოლებით ულენინოთ სტალინის მეთაურობით გავლილი ათი წელი წარმოადგენს ლენინიზმის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებების ეპოქას.

იმ დროს, როცა მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გააცამტვერა ბურჟუაზიულ ეკონომისტების და სოციალ-ფაშისტების თეორიები კაპიტალიზმის სიმტკიცის შესახებ, იმ დროს, როცა კაპიტალიზმის მესაჭეები და მაჩანჩალები კარგავენ კრიზისიდან თავის დაღწევის რეცეპტების საყოფიერების იმედებს, ლენინიზმის გზით მიმავალი საბჭოთა კავშირი თავის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებებით ამტკიცებს ბოლშევიკური ხაზის მთელ სისწორეს და ბურჟუაზიულ-მენშევიკურ-ტროცკისტულ თეორიების სრულ უსაფუძვლობას.

ათი წელია არა გვყავს ლენინი, მაგრამ მისი საქმე ცოცხალია და გამარჯვებულია, თითეულ ფაბრიკაში, თითეულ ქარხანაში, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურში, ჩვენი ახალი ქვეყნის თითეულ მშენებლები ცოცხლობს და ღვივის ნაწილი იმ დაუშრეტელი ურყევი ნებისყოფისა, რომელიც ასულდგმულებდა ჩვენს დაუვიწყარ, საყვარელ ბელადს — ვ. ი. ლენინს. ლენინის საქმე ცოცხალი და გამარჯვებულია, ვინაიდან იგი იმყოფება გამოცდილ ხელში — ლენინის მიერ შექმნილი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის და ლენინის საუკეთესო მოწაფის, ამხანაგის და თანამებრძოლის დიდი ფოლადის **სტალინის** ხელში.



სახლი გორკაში, სადაც გარდაიცვალა ლენინი

## ბოლშევიკების მე-17 ყრილობა

უდიდესი გამარჯვებებით მიდის საბჭოთა ქვეყანა მე-17 პარტყრილობაზე.

ნაცარმტვერად აქცია სინამდვილემ ტროცკისტების თეზისი სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობის შესახებ ერთ ქვეყანაში და მემარჯვენეთა თეორიები, რომლებიც სიტყვით აღიარებდნენ რა სოციალიზმის მშენებლობას, საქმით მუშაობდნენ სოციალიზმის წინააღმდეგ, კაპიტალისტების სასარგებლოდ.



დროის შედარებით მცირე მონაკვეთში საბჭოთა კავშირი გიგანტურად წავიდა წინ. ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნიდან იგი გამოვიდა მოწინავე ინდუსტრიალური ქვეყნების პირველ რიგში. 1932—1933 წ. ჩვენ დავიკავეთ პირველი ადგილი ევროპაში სამრეწველო პროდუქციის მხრივ, რომელიც შეადგენდა მსოფლიო პროდუქციის 13,1 პროცენტს და ჩამოვრჩებით მხოლოდ ამერიკას.

ჩვენი ახალი ფაბრიკა-ქარხნები თავისი სიდიდითა და ტეხნიკური შეიარაღებით გაოცებას იწვევენ უცხოელებში; ბევრი ასეთი ფაბრიკა - ქარხანა სრულიად არ მოიპოვება ევროპაში.

საბჭოთა კავშირი გახდა ყველაზე მსხვილი მიწადმოქმედების ქვეყნად მსოფლიოში. „15.000.000 ინდივიდუალური მეურნე გაერთიანდა ორასი ათასზე მეტ კოლმეურნეობაში, რომელთაც 3000 სამანქანო - სატრაქტორო სადგური ემსახურება. ამჟამად ჩვენ გვაქვს კოლექტივიზაციის 68 პროც., კოლმეურნეობათა სათესი ფართობი მთელ საკოლმეურნეო - გლეხურ სექტორში შეადგენს 82,1 პროცენტს. შექმნილია 5 ათასი ტრესტირებული მსხვილი საბჭოთა მეურნეობა და 5.000 კოოპერატიული, მუშათა მომარაგების განყოფილებების კუთვნილი და სხვ. არატრესტირებული საბჭოთა მეურნეობა. ყველა ეს საბჭოთა მეურნეობები ხნავენ და თესავენ 14 მილიონ ჰექტარს ანუ საბჭოთა კავშირის მთელი სათესი ფართობის 10 პროც." (ამხ. **კაგანოვიჩის** მოხსენებიდან მოსკოვის პარტკონფერენციაზე).

სოციალისტურ სოფელს საბჭოთა სახელმწიფომ მისცა 208000 ტრაქტორი, 24.500 კომბაინი, 50 ათასი რთული სალეწი მანქანა, 26.500 ავტომობილი.

საკოლმეურნეო სოფელი მტკიცედ დადგა შეძლებული ცხოვრების გზაზე: კოლმეურნეებმა შრომა-დღეზე საშუალოდ მიიღეს 7—8 კილოგრამი, ზოგან კი — 15—20 კილოგრამი.

მუშა - მოსამსახურეთა რეალური ხელფასი თვალსაჩინოდ გაიზარდა.

უმუშევრობა საბჭოთა კავშირში მოსპობილია მთლიანად.

იქმნება კულტურული, უზრუნველყოფილი ცხოვრება.

მასების მატერიალურ და კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესების შედეგად საბჭოთა კავშირში თვალსაჩინოდ მცირდება სიკვდილიანობა და იზრდება დაბადებულთა რიცხვი.

ხუთწლედის განხორციელების მანძილზე ჩვენ შევქმენით საკუთარი საწარმოო - ტეხნიკური ინტელიგენციის დიდი არმია და წარმატებით ვიპყრობთ მეცნიერების და მოწინავე ტეხნიკის მწვერვალებს.

ბოლშევიკური ტეხნიკის და მეცნიერების, ბოლშევიკური ნებისყოფის იერიშის წინაშე დედამიწამ გახსნა თავისი საიდუმლოებანი და სოციალიზმის მშენებლობის არსენალში შევიდა ათეული ათასი აქამდე მიწაში ხელუხლებლად მდებარე სასარგებლო მინერალი და სხვა ხელეული. პოლიარულ წრესთან, ციმბირის ტაიგაში, სამხრეთის უდაბნოებში და სხვა მრავალი მიუვალ კუთხეებში, სადაც „კაცს არ დაედგა ფეხი", იზრდება ინდუსტრიალური ცენტრები, შენდება სოციალიზმის ქალაქები, იცვლება საბჭოთა ქვეყნის გეოგრაფია. მდინარეებს ვაცვლევინებთ კალაპოტს, ვქმნით ახალ გრანდიოზულ სანაოსნო მაგისტრალებს.

განუზომელია საბჭოთა კავშირის მიღწევები, მოპოებული ლენინის პარტიის და ლენინის საუკეთესო თანამებრძოლის ამხ. **სტალინის** მეთაურობით. კიდევ უფრო გრანდიოზულია ამოცანები მეორე ხუთწლედის, მოცემული ამხ. **მოლოტოვისა** და **კუიბიშევის** თეზისებში „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ".

„მეორე ხუთწლედში გადაჭრილი იქნება ყველა ის კარდინალური ამოცანები, დასმული პროლეტარიატის წინაშე, რომელმაც უკვე ააგო სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტი და გადაჭრა საკითხი „ვინ-ვის" ქალაქად და სოფლად" („პრავდა").

სამრეწველო პროდუქცია მეორე ხუთწლედის ბოლოს პირველი ხუთწლედის ბოლოსთან შედარებით უნდა გაიზარდოს 2,4-ჯერ — 43 მილიარდიდან 103 მილიარდამდე. ფართო მოხმარების წარმოება უნდა გაიზარდოს სამჯერ.

„მეორე ხუთწლედის განხორციელება, უდავოა, მოგვცემს ჩვენ პროლეტარული დიქტატურის ეკონომიური და პოლიტიკური პოზიციების შემდგომ გამაგრებას, მეორე ხუთწლედის შესრულება მოგვცემს მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის და მატერიალურ - კულტურული მდგომარეობის სწრაფ ამაღლებას, — ეს არის მეორე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. მეორე ხუთწლედის შესრულება აიყვანს ჩვენს ქვეყანას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე და, როგორც პარტიის ც. კ. თეზისებშია ნათქვამი, მეორე ხუთწლედში საბჭოთა კავშირი გადაიქცევა ტეხნიკურად ყველაზე უფრო მოწინავე ქვეყნად ევროპაში" (კაგანოვიჩი).

პირველი ხუთწლედის უდიდესი გამარჯვებები უზრუნველჰყო პარტიის სწორმა ხელმძღვანელობამ, იმ გარემოებამ, რომ მილიონიანი მასები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს იმ გენერალურ ხაზს, რომელსაც ატარებდა ლენინური ცენტრალური კომიტეტი **სტალინის** მეთაურობით.

განუზომელია ამხ. სტალინის როლი იმ უდიდეს გამარჯვებებში, რომლებიც სოციალიზმმა მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში, იმ ბრძოლაში, რომელსაც პარტია აწარმოებდა მთლიანობისათვის და ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის — მემარჯვენე „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

— სტალინ!

ამ სახელს სიამაყით და სიყვარულით იმეორებენ მილიონები. საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

სოციალიზმის მშენებლობის დიდმა ორგანიზატორმა, ლენინის საქმის სახელოვანმა გამგრძელებელმა ამხ. **სტალინმა** მოიპოვა საყოველთაო სიყვარული მშრომელთა ასეული მილიონებისა.

ფოლადისებური შემჭიდროებული რიგებით მიდის პარტია სტალინის ხელმძღვანელობით მე-17 პარტყრილობაზე, რომ დასახოს, მეორე ხუთწლედის მშენებლობის ახალი ბუმბერაზული ამოცანები.

მ. საველიევი

# სტალინი—ლენინის საქმის განმგრძობი

ათი წელი განვლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, რევოლუციური კომუნიზმის თეორეტიკოსი, სტრატეგი და ტაქტიკოსი—ლენინი. წარმოადგენდა რა მარქსის საქმის განმგრძობს, ლენინმა იმპერიალიზმის ახალი ეპოქის და პროლეტარული რევოლუციების პირობებში განავითარა და ახალ სიმაღლეზე დააყენა მარქსიზმის მოძღვრება, საერთაშორისო პროლეტარიატის უმნიშვნელოვანესი იარაღი. ლენინური ეტაპი განსაზღვრავს პროლეტარული ბრძოლის თეორიის და პრაქტიკის უდიდეს ისტორიულ ხანას, რაც მოასწავებს მეცნიერული კომუნიზმის იდეის ნამდვილ ტრიუმფს. ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლუცია, რომელსაც მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, წარმოადგენს იმ უდიდეს მიჯნას, რომელიც ახალ ფურცელს შლის მსოფლიო ისტორიაში, როცა პრაქტიკულად, მტკიცე ისტორიული ფაქტებით სავსებით დადასტურდა კომუნიზმის საფუძვლის ჩამყრელთა მიერ პროლეტარული რევოლუციის და დიქტატურის შესახებ გაკეთებული გენიალური პროგნოზების სისწორე.

ლენინის საქმის განმგრძობს, მის გენიალურ მოწაფეს და თანამებრძოლს წარმოადგენს ამხ. სტალინი.

10 წლის წინათ ამხ. სტალინმა ლენინის საფლავზე დადვა დიადი ფიცი, რომ შეასრულებდა ლენინის ანდერძს, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობად დაგვრჩა. მან არამც თუ შეასრულა ეს ფიცი, რომელსაც მხარი დაუჭირეს კომუნიზმისათვის მებრძოლი პროლეტართა მილიონებმა, მან შემდგომად განავითარა მარქსის და ლენინის მოძღვრება და, ისტორიული მოვლენების ახალ განვითარებასთან — ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, ეს მოძღვრება ახალ სიმაღლეზე დააყენა და გაამდიდრა იგი ისტორიული მნიშვნელობის შემდგომი განზოგადებებით.

კაცობრიობის უდიდესი გენიოსები—ლენინი და სტალინი, რომლებიც განსაკუთრებულ სიმაღლეზე დააყენა თანამედროვე ისტორიის მთელმა განვითარებამ, თითქოს ასახიერებენ ჩვენი იმ გმირული ეპოქის დიადი შემოქმედებითი მნიშვნელობის უმკაფიოეს მაგალითს, რასაც განსაზღვრავს ახალი კომუნისტური წყობილების დამყარების ისტორიული მიჯნა.

ყველაფერი ..., რაც მარქსის და ენგელსის დროს ჯერ კიდევ შორეულ იდეალს [illegible]

განმარტავდა მარქსის თვალსაზრისს რევოლუციურ პერიოდებზე, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „რევოლუციური კრიზისების მაღალი შეფასება კაცობრიობის განვითარებისთვის გამომდინარეობს მარქსის ისტორიულ შეხედულებათა მთელი სისტემიდან; სწორედ ახეთ პერიოდებში წყდება მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობები, რომლებიც ნელა გროვდება ეგრედწოდებული მშვიდობიანი განვითარების პერიოდებში" (ლენინი, ტომი მე-2, გვ. 32).

გაწმინდა რა მარქსიზმი მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ ნაგავისაგან, ლენინმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა უდიდესი რევოლუციური თეორია—პროლეტარიატის ეს შეუდარებელი იარაღი დიქტატურისათვის, კომუნიზმისათვის ბრძოლაში. მან მემკვიდრეობად დაგვიტოვა ოქტომბრის შემდგომი პერიოდის გამარჯვების პირობებში სოციალიზმის აშენების გეგმა, ამასთან აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება „ყოველივე, რაც საჭირო და საკმაოა" სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. მაგრამ ანტილენინური, ანტიბოლშევიკური მიმდინარეობანი ჩვენს პარტიაში შეეცადნენ დაემახინჯებინათ და დაემარცხებინათ ლენინიზმის მნიშვნელობა და მათ, ტროცკის მეთაურობით, გაბედეს კიდეც რევოლუციური ლენინური თეორიის წინააღმდეგ გამოსვლა. სტალინის გენიალური სიდიადე უკვე მაშინ, ამ 10 წლის წინათ, იმით განისაზღვრა, რომ სწორედ იგია, რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმის ბელადის რკინისებური სიმტკიცით რომ აწარმოებს ბრძოლას ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, ლენინურად ხელმძღვანელობს რა პარტიას სოციალიზმისათვის ბრძოლაში. მისი წიგნი „ლენინიზმის საკითხები" წარმოადგენს ლენინიზმის თეორიის დაყენების და განვითარების სიცხადის შეუდარებელ ნიმუშს.

ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს თეორიის უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმისათვის და კომუნიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამავე დროს აღნიშნავს, რომ ლენინიზმის რევოლუციური თეორია არ შეიძლება მოწყვეტილი იქნას რევოლუციური პრაქტიკისაგან.

„თეორია,—ამბობს იგი,—არის ყველა ქვეყნის მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აღებული მისი ზოგადი სახით. რა თქმა უნდა, თეორია ხდება უსაგნო, თუ ის არ უკავშირდება რევოლუციურ პრაქტიკას, ისევე, როგორც პრაქტიკაც ხდება ბრმა, თუ იგი არ იშუქებს გზას რევოლუციური თეორიით". მხოლოდ თეორიას შეუძლია „მისცეს მოძრაობას რწმენა, ორიენტირების ძალა, მოვლენათა შინაგანი კავშირის გაგების უნარი, რადგან მას და მხოლოდ მას შეუძლია დაეხმაროს პრაქტიკას, გაიგოს არა მარტო ის, თუ როგორ და საით მიემართებიან კლასები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და საით უნდა გაემართონ ისინი ახლო მომავალში" (სტალინი—„ლენინიზმის საკითხები", გვ. 16—17).

სტალინის ამ მითითებიდან ჩვენ მთელის სიცხადით ვხედავთ, რომ მხოლოდ მაშინ თუ ვიხელმძღვანელებთ პრაქტიკული ბრძოლით და მივიღებთ მისგან თეორიის უდიდეს განზოგადებებს, შეგვიძლია ავიდეთ იმ აუცილებელ სიმაღლეზე, რომელიც საშუალებას მისცემს მას დაინახოს ბრძოლის უდიდესი პერსპექტივები, დაინახოს, თუ საითკენ უნდა წავიდნენ კლასები.

ლენინიზმის მოძღვრების ცენტრალურ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი. სახელდობრ, ბრძოლა დიქტატურისათვის, ბრძოლა რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა ლენინიც, განასხვავებს რევოლუციურ მარქსიზმს ჩვეულებრივი რეფორმისტისაგან, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ყველა ლაქიისა და დამქაშებისაგან. ეს პუნქტი დიქტატურის შესახებ, რომელიც დასახა და წამოაყენა სტალინმა თავის „ლენინიზმის საკითხებში", როგორც პროლეტარული რევოლუციის ძირითადი საკითხი, რევოლუციური პროლეტარიატის თეორიის და პრაქტიკის ძირითადი საკითხი—წითელი ძაფივითაა გატარებული ამხ. სტალინის მთელ თეორიულ მუშაობასა და მთელ პრაქტიკულ ბრძოლაში. მისი მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ამ დიქტატურის სამი მხარის შესახებ, გარდამავალ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის მისი უღრმესი ანალიზი და დიალექტიკური მიდგომა ამ ბრძოლაში პოლიტიკის და ეკონომიკის ურთიერთობის გადაჭრაში, ის, რომ იგი ხაზგასმით აღნიშნავს პოლიტიკის უპირატესობას ეკონომიკის გარდაქმნის საქმეში, იგი ამბობდა:

„მე-14 ყრილობა, უმთავრესად, იყო ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. მე-15 ყრილობა, უმთავრესად, იყო კოლექტივიზაციის ყრილობა: ეს იყო მზადება საერთო შეტევისათვის. გავლილი ეტაპისაგან განსხვავებით მე-16 პარტყრილობის წინაპერიოდი წარმოადგენს მთელ ფრონტზე სოციალიზმის საერთო შეტევის პერიოდს, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში სოციალიზმის გაძლიერებული მშენებლობის პერიოდს. მე-16 ყრილობა არის მთელ ფრონტზე სოციალიზმის გაშლილი შეტევის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების ყრილობა". (სტალინი „ლენინიზმის საკითხები", გვ. 560).

ეხება რა გარდამავალი პერიოდის განვითარების შეფასების საკითხებს, ამხ. სტალინი აჯამებს მე-16 ყრილობამდე განვლილი გზის შედეგებს და აღნიშნავს:

„ცხადია, ჩვენ უკვე გამოვედით გარდამავალი პერიოდიდან მისი ძველი გაგებით. შევედით რა მთელს ფრონტზე პირდაპირ და გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში. ცხადია, ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში, რადგანაც ამჟამად სოციალისტური სექტორის ხელშია მთელი სახალხო მეურნეობის ყველა სამეურნეო ბერკეტი, თუმცა სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე და კლასობრივი განსხვავების მოსპობამდე ჯერ კიდევ დიდი მანძილია".

კიდევ უფრო დიდი წარმატებები, მიღწეული მე-16 ყრილობიდან მე-17 ყრილობამდე. ამ მოკლე დროის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ არა თუ დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება, არამედ აგრეთვე გააჩაღა თვით სოციალიზმის შენობის უაღრესად ინტენსიური მშენებლობა. წარმატებით დამთავრდა პირველი ხუთწლედი, და ჩვენი ქვეყანა სტალინის ხელმძღვანელობით დებულობს და ცხოვრებაში ატარებს კიდევ უფრო გრანდიოზული მეორე ხუთწლედის მშენებლობის პროგრამას.

წარმოება განადგურებულია, მაგრამ ჯერ კიდევ არასავსებით მოსპობილი კაპიტალისტური ელემენტების ნაშთების ლიკვიდაცია და აღმოფხვრა, ბრძოლა, რომელიც უდიდეს დაძაბვას და სიფხიზლეს მოითხოვს. გაჩაღებულია უდიდესი მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ხაზით. სტალინი იძლევა ლოზუნგს—გადავაქციოთ კოლმეურნეები შეძლებულებად და კოლმეურნეობები ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად. მშენებლობის პათოსს ემატება ათვისების პათოსი, ჩვენი ბუმბერაზი კავშირის ყოველ კუთხეში გაჩაღებულია საწარმოო და თავდაცვითი მუშაობა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული, ჩვენ შევედით მის უკანასკნელ პერიოდში, მაგრამ ეს წინანდელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა როდია. ახალი ეკონომიური პოლიტიკის უკანასკნელი პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია სოციალიზმის დაწყებითს პერიოდში შესვლასთან, მოითხოვს მუშაობის ახალ მეთოდებს, მოითხოვს ორგანიზაციული ხასიათის ახალ ამოცანებს, მოითხოვს მასების უდიდეს მობილიზაციას, საწარმოო ენთუზიაზმის ამაღლებას, სამეურნეო კავშირის გაძლიერებას და გაშლას ქალაქსა და კოლექტივიზაციის პროცესში მყოფ სოფელს შორის; მოითხოვს საქონელბრუნვის განვითარებისა და უფართოესი მასების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას.

სოციალისტური საწყისები საბოლოოდ იმარჯვებს ჩვენს მეურნეობაში, ხოლო ჩვენი ქვეყანა უფრო და უფრო უახლოვ-

უკვე რა უდიდესი, გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა ჩვენმა ქვეყანამ ამხ. სტალინის მეთაურობით. ამასთან ერთად კი უნდა გვახსოვდეს მისი გამაფრთხილებელი სიტყვები „ცუცქნობის", მავნებლობის შესახებ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ უდიდესი მუშაობა მოგველის.

ხელმძღვანელობს რა სოციალიზმის აშენებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის გრანდიოზული ამოცანის განხორციელებას და პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღის განვითარებას და გამტკიცებას, სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს ორგანიზაციული საკითხების განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორი დღევანდელი მომენტისათვის. ორი წლის წინათ ამხ. სტალინმა განსაკუთრებული გარკვეულობით დასვა სამეურნეო მშენებლობის ახლებური ხელმძღვანელობის ამოცანა, წამოაყენა მეურნეობის ხელმძღვანელობის ექვსი ისტორიული პირობა. ამჟამად ამხ. სტალინი განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს ორგანიზაციული პრობლემის სწრაფად გადაჭრის საკითხს, გადაჭრით მოითხოვს ტრანსპორტის რეორგანიზაციას, მუშაობის ახალი პირობების შექმნას დონბასში, ახორციელებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, საბჭოთა მეურნეობების და რკინის გზების პოლიტგანყოფილებათა ორგანიზაციას, მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს პარტიული და საბჭოთა აპარატის რეორგანიზაციის პრობლემას. ამხ. კაგანოვიჩის თეზისებში მე-17 ყრილობისათვის, რომლებიც ძირითადად მოწონებულია პოლიტბიუროს მიერ, ნათქვამია: „ახლა, როცა პარტიის გენერალურმა ხაზმა გაიმარჯვა, როცა პარტიის პოლიტიკა შემოწმებულია არა მარტო პარტიის წევრების, არამედ აგრეთვე მუშათა და მშრომელ გლეხთა მილიონების გამოცდილებით,—მთელი სიგრძე-სიგანით დგება პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონემდე ორგანიზაციული მუშაობის აყვანის ამოცანა. ორგანიზაციული საკითხი, რჩება რა პოლიტიკის საკითხებისადმი დაქვემდებარებულად, მაინც გასაოცრად დიდ მნიშვნელობას ღებულობს სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებებისათვის". (ორგანიზაციული საკითხები. ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების თეზისები მე-17 პარტყრილობისათვის, გვ. 35—36, პარტგამომცემლობა, 1934 წელი).

წარმატებები, რომლებსაც ჩვენმა პარტიამ მილიონთა ბელადის და ხელმძღვანელის—ამხ. სტალინის მეთაურობით მიაღწია გავლილი 10 წლის მანძილზე საშინაო მშენებლობის დარგში უმჭიდროესად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებებთან საერთაშორისო ბრძოლის ფრონტზე. ორი სისტემის—სოციალისტურისა, რომელიც იზრდება და მტკიცდება და კაპიტალისტურისა, რომელიც ლპება და ირღვევა—ბრძოლა ცხადყოფს კომუნიზმის უდიდეს მიღწევებს საერთაშორისო ასპარეზზე შეჯიბრების დარგში. საბჭოთა კავშირი ნამდვილად გადაიქცა საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე ბრიგადად, ხოლო სოციალისტური მშენებლობის უმაგალითო ტემპები და ენთუზიაზმი და მშენებლობის და ათვისების პათოსის უსაზღვრო ტალღა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს", გადააქციონ საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლუციის ურყევ ციხე-სიმაგრედ.

ამ პირობებში მთელი ბუმბერაზული



ლენინი 1907 წ.

კაზე, თვით მუშათა კლასის როლს, როგორც გადამწყვეტ ძალას დიქტატურისათვის ბრძოლაში, ბოლოს, მითითება ამ ბრძოლაში პარტიის ხელმძღვანელი მნიშვნელობაზე—ყოველივე ეს საშუალებას აძლევს ამხ. სტალინს გარდამავალი პერიოდის ფრიად ძნელ პირობებში სწორად გადაჭრას ჩვენი პარტიის სტრატეგიის და ტაქტიკის უაღრესად რთული საკითხები.

სწორი პოლიტიკის შედეგად, ჩვენმა ქვეყანამ, წარსულში ღარიბმა და ჩამორჩენილმა ქვეყანამ, უკვე რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში შეძლო თავისი საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, შეძლო შესდგომოდა თავისი ეკონომიკის გარდაქმნას და გადაქცეულიყო მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყანად, ისეთ ქვეყანად, რომელმაც გადაჭრა ჩვენი უწვრილესი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციის უძნელესი პრობლემები, გადაქცეულიყო უაღრესად მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყანად.

ხელმძღვანელობდა რა ლენინის რევოლუციური თეორიით და სათავეში იდგა რა ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სტალინმა გააცამტვერა ტროცკიზმი, რომელიც ცდილობდა გადაეყვანა პარტია სოციალ-დემოკრატიულ რელსებზე და დაემტკიცებინა, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ამხილა რა კაპიტულანტური დებულება ტროცკიზმისა, რომელიც შემდეგ დაეშვა პირდაპირ კონტრრევოლუციურ გზაზე და გადაიქცა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმად, სტალინმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპებისათვის ბრძოლის ახალ პირობებში გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მემარჯვენე გადახრის კულაკური კონტრრევოლუციური ბუნება. მემარჯვენეებთან ბრძოლას იგი ახორციელებს კოლექტივიზაციის რელსებზე სოფლის მეურნეობის გადაყვანის უძნელეს პერიოდში. ჩვენმა პარტიამ, რომელიც იბრძოდა ორ ფრონტზე ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, გასულ წლებში ხაბრალოდ დაამსხვრია როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" გადახრა და ამხილა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა „გმირთა" რაობა.

ამხ. სტალინის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული დამსახურება, რასაც უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ეს არის ის, რომ მან დააყენა და ცხოვრებაში გაატარა ისეთი უძნელესი საკითხი, როგორიცაა ჩვენი მრავალმილიონიანი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობების გადაყვანა კოლექტივიზაციის გზაზე. ავითარებს რა ლენინის იდეას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, კოოპერატიული გეგმის, გლეხობასთან კავშირის შესახებ და წყვეტს რა ამ საკითხებს ახალ პირობებში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის, კლასობრივი ბრძოლის, პარტიის და სხვ. საკითხების ახლებურად დაყენებით, სტალინი იძლევა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ისეთ პირობებში მშენებლობის მწყობრ თეორიულ კონცეპციას, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ გვეჩვენებოდა მხოლოდ შემდგომ პერსპექტივად და არ შეიძლებოდა დაგვეყენებინა მთელი კონკრეტულობით, როგორც მიმდინარე დღის პრაქტიკული ამოცანები.

იბრძოდა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის სამხედრო კომუნიზმის და ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი სტადიის უაღრესად ძნელ პირობებში, ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა ჩვენი ეკონომიური ბაზის განსაკუთრებულ სისუსტეს, აღნიშნავდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ავაშენებდით სოციალისტური ეკონომიკის საძირკველიც კი და რომ საჭირო იყო მისი აშენების სიძნელეების გადალახვა, საჭირო იყო განსაკუთრებული მსხვერპლის გაღება და ძალღონის დაჭიმვა.

გავლილი პერიოდის განმავლობაში ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ უკვე დაამთავრა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგება, შეასრულა ლენინის ის უმნიშვნელოვანესი ანდერძი და უკვე შევიდა სოციალიზმის პერიოდში.

თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ პერიოდში ჩვენ გვიხდებოდა უკან დახევა და მანევრირება იმისთვის, რომ მოგვეცა შეტევის უზრუნველყოფის შესაძლებლობა მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინი ითვალისწინებდა რა განვლილ გზას, მტკიცე რწმენით შეძლო მოეცა მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის ლოზუნგი. აჯამებდა რა იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების შედეგებს, რომლებიც პარტიის მიერ დასახულია ჩვენი ქვეყნის ეკო-



[illegible]

...ურის მიერ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მეორე ხუთწლედის გეგმის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში „საერთოდ კაპიტალისტური ელემენტების და კლასების ლიკვიდაცია, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის მთლიანად დამთავრების და ყველა შინამრეწველის კოოპერირების საფუძველზე, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების საბოლოო ლიკვიდაცია, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მრავალწყობიანობის ლიკვიდაცია და წარმოების სოციალისტური წესისა, როგორც წარმოების ერთად-ერთი წესის, დაწესება და ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა სოციალისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებლებად". (თეზისები მე-17 პარტყრილობისათვის).

ხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა დაიპყრო სახელმწიფო ხელისუფლება. სულ რამდენიმე წლის წინათ პარტიამ და მუშათა კლასმა დაამთავრეს აღდგენითი პერიოდი და გადავიდნენ რეკონსტრუქციის პერიოდში, დაიწყეს გაშლილი შეტევა ყველა ფრონტზე და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, სულ რამდენიმე წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ შეძლო წარემართა სამეურნეო განვითარება ხუთწლიანი და წლიური გეგმების განხორციელების საფუძველზე. ამავე დროს და პრაქტიკულ მიღწევას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის უდიდეს ტრიუმფს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტრიუმფს ვერ დავაშორებთ სტალინის სახელს, საერთაშორისო ასპარეზზე და საბჭოთა კავშირში თეორიული და პრაქტიკული ბრძოლისადმი მის გენიალურ ხელმძღვანელობას. ჩვენ ნამდვილად შევედით სოციალიზმისათვის ბრძოლის ახალ სტალინურ ეტაპში. ჩვენი ქვეყანა უშუალოდ შეუდგა უკლასო სოციალისტური საზოგადოების განხორციელებას, რაც მოასწავებს ახალი მსოფლიო-ისტორიული პერიოდის დაწყებას.

10 წელი გავიდა ლენინის გარდაცვალების დღიდან. ამ ათი წლის განმავლობაში კომუნისტურმა პარტიამ, გმირულმა მუშათა კლასმა და კოლმეურნეთა უფართოესმა მასებმა ლენინის საქმის გამგრძობი—ჩვენი პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით დიადი გზა გაიარეს ლენინის ანდერძის განხორციელების საქმეში, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის საქმეში.

სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის კლდესავით მაგარ მოძღვრებაზე დაყრდნობით, საერთაშორისო პროლეტარიატი და ჩვენი ქვეყანა მიდიან ახალი ბრძოლებისა და ახალი გამარჯვებისაკენ.

# წინ, ახალი გამარჯვებისაკენ

უნივერსიტეტის მეორე პარტიული კონფერენცია შეიკრიბა უაღრესად ხელსაყრელ პირობებში. საბჭოთა კავშირის ლენინის პარტიის და ლენინის საუკეთესო მოწაფის და თანამებრძოლის **ამხ. სტალინის** მეთაურობით მოპოვებული აქვს უდიდესი გამარჯვებები სოციალისტური მშენებლობის და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების ფრონტზე.

უდიდესი მიღწევები აქვს ამიერკავკასიას. ეს მიღწევები მოპოვებულია საკ. კომპარტიის ცკას და ამხ. სტალინის მითითებების გადაუხრელად გატარების შედეგად, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და ნაცადი ბოლშევიკის ამხ. **ლ. ბერიას** ხელმძღვანელობით, რაც აღნიშნა ცეკამ ც. ორგანომ ბოლშევიკურმა „პრავდა"-მ.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის მეორე კონფერენცია შეიკრიბა უნივერსიტეტის დაარსების მეორე წლის დასაწყისისათვის.

განვლილი ერთი წელი ჩვენი უნივერსიტეტის არსებობისა არის წელიწადი უდიდესი მიღწევების, უდიდესი წარმატებების მეცნიერებისა და კულტურის ნამდვილი ბოლშევიკური კერის შექმნის გზაზე. ეს წარმატებები მოპოვებულია პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად გატარების, ცაკის 19 სექტემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის ბოლშევიკური ბრძოლის, უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანების გარშემო პარტიულ - კომკავშირული მასის დარაზმვის, უპარტიო პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა მასაში პარტიის ავტორიტეტის და გავლენის ამაღლების, კომუნისტების ავანგარდული როლის უზრუნველყოფის და პარტიის ხაზიდან ყოველგვარი გადახრების და მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის საფუძველზე.

უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას მაღლა ეჭირა მარქსისტულ ლენინურად აღზრდილ მაღალ-კვალიფიციურ კადრებისათვის ბრძოლის დროშა. თავისი ავტორიტეტით, მუშაობითა და მაგალითის მიცემით თითოეული პარტიის წევრი და პარტორგანიზაცია მთლიანად კომკავშირთან ერთად ყოველდღიურ დახმარებას უწევდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მუშაობის გარდაქმნაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში, იმ მძიმე მემკვიდრეობის დაძლევაში, რომელიც ჩვენმა ახალმა უნივერსიტეტმა მიიღო.

პარტიული ორგანიზაცია თავისი კომიტეტის სახით ყოველდღიურ ცოცხალ მონაწილეობას იღებდა ჩვენი უნივერსიტეტის მშენებლობაში, პროფესორ-ლექტორთა მტკიცე ბირთვის შექმნაში, მის გაძლიერებაში პარტიულ - კომკავშირული შემადგენლობით და იღებდა ზომებს იმისათვის, რომ როგორც კომუნისტი-ლექტორები, ისე კომუნისტი და კომკავშირელი სტუდენტები სწავლებაში და მუშაობაში მაგალითის მიცემით ყოფილიყვნენ ყველა დანარჩენებისათვის. ისეთი ლექტორები, როგორიც არიან ამხ. გ. ჯახელიძე, ზ. ჩახვაძე და სხვ., სტუდენტები შ. კალანდარაშვილი, პატარაია, კ. ბარათელია, ბარამიძე და სხვები იძლევიან ბოლშევიკურ ნიმუშს იმისას, თუ როგორ შეიძლება სწავლების და სწავლის მაღალი ხარისხის შეთავსება საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობის გაშლასა და მის მაღალ ხარისხთან. ამასთან ერთად ჩვენ გვყავს აკადემიური და საზოგადოებრივი მუშაობით სანიმუშო პროფესორ-ლექტორები, რომლებიც ჩვენი უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანების ღრმა შეგნებით თავდადებულად მუშაობენ მაღალკვალიფიციური კადრების გამოჭედვისთვის, მარქსისტულ ლენინური თეორიის დაუფლებისთვის, ეწევიან ფართო საზოგადოებრივ მუშაობას. ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ისეთი პროფ-ლექტორებით, როგორიც არიან პროფ. ი. სურგულაძე, პროფ. ნ. მუსხელიშვილი, დოც. ნ. კეცხოველი და სხვ., ისეთი სტუდენტებით, როგორიც არიან ილ. კოპალიანი, არტ. ჯანჯღავა, ოლღა სოსელია და სხვ.

უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია გამოდიოდა თაოსნად მთელ რიგ ღონისძიებებისა, რომლებიც შემდეგ გამოყენებულ იქნენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

ასეთ თაოსნობათა რიგს ეკუთვნის დეკემბრის გამოცხადება XVII პარტყრილობის სახელობის დამკვრელ თვედ აკადემიური გეგმების შესრულებაში ჩამორჩენათა სალიკვიდაციოდ, იმისათვის, რომ „არ გვყავდეს არცერთი ჩამორჩენილი სტუდენტი". ამ ლოზუნგის გარშემო პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით დარაზმულია მთელი პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა მასა და მიმდინარეობს ბოლშევიკური ბრძოლა იმისათვის, რომ სასწავლო გეგმები მთელი 100%-ით იქნას შესრულებული ამ მიზნით პროფესორ-ლექტორთა მიერ მიცემულია უკვე (20 დეკემბრამდე) 500 ზედმეტი საათი, მოწყობილია კონსულტაციები, როგორც თვით უნივერსიტეტში, ისე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში.

ასეთ ცოცხალ თაოსნობათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე სტუდენტების სოფლად რაციონალურად გაყენების წინადადება.

პარტიულ კომიტეტის მიერ მიღებული მთელი რიგი ღონისძიებები მოწონებულ იქნა შემდეგ - პარტიულ ორგანოების მიერ და გამოყენებული სხვა უმაღლესი სასწავლებლების პრაქტიკაში.

სწავლების, მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლების და დისციპლინის საკითხებისადმი პარტორგანიზაციის ყურადღების შედეგია უნივერსიტეტის ორჯერ დაჯილდოება გარდამავალი წითელი დროშით.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია შეუნელებელ და ულმობელ ბრძოლას აწარმოებდა იდეოლოგიურ ფრონტზე. პარტიული ორგანიზაცია ფხიზლად იდგა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების სადარაჯოზე და გამანადგურებელ პასუხს აძლევდა ყოველგვარ ტროცკისტულ (სამართლის ფაკ. სტუდენტთა ერთი ჯგუფი), მენშევიკურ (ა. ჩაჩუა) გამოსვლებს და მათდამი ლიბერალურ დამოკიდებულებას (ციხისთავი) ორპირობას (თოფურია) და სხვ. პარტიული ორგანიზაცია ულმობელად ამხელდა მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯების ყოველგვარ ცდებს (პ. გუგუშვილი). პარტიული კომიტეტის თაოსნობით ჩატარდა და ტარდება სასწავლო პროგრამების დათვალიერება - შემოწმება მათგან ყოველგვარი ბურჟუაზიულ - იდეალისტური ნაგავის გასახვეტად და მათი მტკიცე დაკავშირებისათვის სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან. ამ მუშაობის შედეგია საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროგრამების გადათვალიერება და მათი საჯარო განხილვა. ეს მუშაობა დაწყებულია და გრძელდება.

პარტიული კომიტეტის თაოსნობით იქნა მხილებული, რომ პროფ. მ. შალამბერიძის „ფიზიკური ქიმია" წარმოადგენს უმსგავსო პლაგიატს და მიუღებელია, როგორც მეცნიერული თვალსაზრისით უიმედოთ ჩამორჩენილობის გამო, აგრეთვე იდეოლოგიურადაც.

პარტიული კომიტეტის ბრიგადებმა ამხილეს უნივერსიტეტის მთელ რიგ მუშაკების ნაშრომებში დაშვებული უხეში ანტი-მარქსისტული შეცდომები (**ციხისთავი** — ბახტაძე-ლორთქიფანიძის „კლასთა ბრძოლის ისტორია", **ჩაჩუა**—ბახტაძის „კლასთა ბრძოლის ისტორია", **პ. გუგუშვილის**—„ტექნიკის მარქსისტული ისტორია" და სხვ.).

სამზადისი XVII პარტიული ყრილობისათვის და საანგარიშო-საარჩევნო კამპანია პარტიულმა კომიტეტმა გამოიყენა პარტიულ-კომკავშირული და უპარტიო მასის აქტივობის და ენთუზიაზმის ახალი ტალღის გამოსაწვევათ. ამის თვალსაჩინო ილიუსტრაციას წარმოადგენს ის ვალდებულებები, რომლებიც პროფესორ ლექტორთა და სტუდენტთა მასამ იკისრა XVII ყრილობისათვის და რომელთა რეალიზაციისათვის უნივერსიტეტში გაშლილია ბოლშევიკური ბრძოლა.

საანგარიშო - საარჩევნო კამპანია უნივერსიტეტში ჩატარებული იქნა სასწავლო გეგმების 100%-ით შესრულების, სწავლების მაღალი ხარისხისათვის, სტუდენტთა და მთელი პროფესორ - ლექტორთა და ტექნიკური პერსონალის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის და ცაკის დადგენილების საფუძველზე მთელი სასწავლო საქმის შემდგომი გარდაქმნისათვის ბრძოლის ლოზუნგით. ის უდიდესი აქტივობა, რომელიც ახასიათებდა საანგარიშო - საარჩევნო კამპანიას, ის გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა კრებებზე და გადარჩევის შედეგები (დასწრების თითქმის 100 პროც., აქტივობის 38 პროც., ძირა რგოლების გადახალისება 30%), მოწმობენ, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საპარტ ორგანიზაციის XVII პარტიულ ყრილობას ხვდება განმტკიცებული და გაძლიერებული მთელ რიგ მნიშვნელოვანი მიღწევები თავისი მუშაობის სხვა და სხვა უბნებიდან.

მაგრამ დაუშვებელი თვითკმაყოფილება იქნებოდა თქმა იმის, რომ პარტორგანიზაციას არ ჰქონდა ნაკლი თავის მუშაობაში.

ჩვენ ჯერ კიდევ ბოლომდე არ მიგვიყვანია მუშაობა ისტორიულ-ლიტერატურულ ფრონტზე მარქსიზმ-ლენინიზმის დამახინჯებათა სამხილად, უფლებრივ ფრონტზე იდეოლოგიურ დამახინჯებათა გამოსამჟღავნებლად, სათანადო სიმტკიცით არ აწარმოებდა ბრძოლა ლექციების გაცდენების წინააღმდეგ, როგორც სტუდენტთა ისე პროფესორ-ლექტორთა მიერ, არ არის უზრუნველყოფილი პარტიული ხელმძღვანელო-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

# უნივერსიტეტის მეორე პარტკონფერენცია

# კამათი ამხ. ს. მინდაძის მოხსენების გამო

უპარტიო პროფესორ - ლექტორთა სახელით ამხ. კ. კაპანელის და უპარტიო სტუდენტთა სახელით ამხ. ქელიძის მისალმების, და პატაკების

მოსმენის შემდეგ დაიწყო კამათი. პარტკომის [illegible] გარშემო.

—:—

## ამხ. გ. ჯანელიძის სიტყვა



საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი პროლეტარიატი უდიდესი ისტორიული გამარჯვებით ხვდება მე-17 პარტყრილობას. ეს გამარჯვება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის არის როგორც მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის დარგში, ისე მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

მეცნიერების განვითარებისათვის არსებობს მხოლოდ ერთად ერთი ადგილი — საბჭოთა კავშირი. კაპიტალისტური ეკონომიკა, კაპიტალისტური მეურნეობა ნგრევას განიცდის. საწარმოო ურთიერთობა დიდი ხანია გადაიქცა ბორკილებად საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. მთელი რიგი მეცნიერული მიღწევები, უდიდესი მნიშვნელობის პროექტები, ველარ პოულობენ განხორციელებას კაპიტალისტურ სინამდვილეში.

კაპიტალისტური მეურნეობა კატასტროფიულად ეცემა და თუ კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის დონე ჯერ კიდევ გამოიხატება 40-50-60 პროც., ამაში თვალსაჩინო როლს თამაშობს სრული დატვირთვით მუშაობა მრეწველობის იმ დარგებისა, რომლებიც ახალ ომის მზადებას ემსახურება, რა თქმა უნდა, კაპიტალისტურ ქვეყნებში არა მარტო მეურნეობა ნადგურდება და ეცემა, არამედ დეგრადაციის და დაცემის გზაზე დგას მეცნიერებაც მთელი რიგი მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები დღეს ულუკმა-პუროდ არიან დარჩენილი, ან მოკლებული არიან მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობას.

მხოლოდ საბჭოთა კავშირში არსებობს ყოველგვარი პირობები მეცნიერების გაშლისათვის. სწორედ საბჭოთა კავშირში იზრდება მეცნიერული კადრები კომუნისტურ და კომკავშირულ ახალგაზრდობიდან. ჩვენთან გადმოდიან და არიან საუკეთესო მეცნიერები, როგორც პოზიტიური მეცნიერების დარგში, ისე საზოგადოებრივ დისციპლინებში. ისინი სდგანან ჩვენთან ერთად. ჩვენ ყოველმხრივ ხელსაყრელი პირობები შეუქმენით მუშაობისთვის იმ ძველ მეცნიერებს, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ.

ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს ერთ უმთავრეს კერას, სადაც 50 სამეცნიერო დისციპლინაში მზადდება კადრები, სადაც მათ ფართე გასაქანი ეძლევათ, როგორც პედაგოგიურ მუშაობაში, აგრეთვე მეცნიერულ შემოქმედებაში. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, გვახსოვდეს და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ არავითარ დათმობას, არავითარ დამახინჯებას მარქსისტულ - ლენინურ თეორიისას არ დაუშვებთ. ჩვენ შეურიგებლად ვიბრძოლებთ მარქსისტულ - ლენინურ თეორიის სიწმინდისათვის. მარქსისტული - ლენინური თეორია არის თეორია, რომელიც იძლევა ნამდვილ ახსნას ჩვენი ცხოვრების, რომელიც იძლევა იარაღს ამ ცხოვრების გარდაქმნისათვის.

გაუმარჯოს იმ მეცნიერებს, რომლებიც სდგანან მარქსისტულ - ლენინურ პოზიციებზე, რომლებიც იბრძვიან მარქსის-ენგელსის-ლენინის-სტალინის თეორიის სიწმინდისათვის.

## ამხ. მოსიავა
(ასპირანტურა)

ამხანაგებო! საკავშირო ცაკის 19 სექტემბრის დადგენილებამ და საკ. კ. პ. (ბ) [illegible] უნდა ყოფილიყო მიღებული სათანადო გამოცდის შემდეგ. ამან გამოიწვია ერთგვარი გაუმჯობესება ასპირანტთა კადრისა. აგრეთვე მოხდა ასპირანტთა- არსებულ შემადგენლობის წმენდა, რამაც გვაიძულა გაგვერიცხა ასპირანტთა შემადგენლობიდან. პარტიის ორი წევრი. ერთი გადავრიცხეთ შტატს გარეშე ასპირანტად. შემდეგი ამოცანა იყო გეგმიანობის დამყარება ამ დარგში, გეგმიანობა ასპირანტურის მომზადების დარგში ნიშნავს გარკვევას იმისას, თუ რა დარგში რა საჭიროება არსებობს და სად რამდენი ასპირანტი უნდა იყოს. ეს აღრიცხვა მოახდინა ინსტიტუტმა და დღეს 43 სპეციალობაში ამზადებს კადრებს, ჩვენ გვაქვს კიდევ რამოდენიმე კათედრა, სადაც ჯერ-ჯერობით ეს კადრები არ მზადდება.

შემდეგ ისმება ხარისხისათვის ბრძოლის საკითხი. მეცნიერული კადრების მომზადების, დროს ხარისხი დამოკიდებულია სემინარების მუშაობაზე. აქ ხაზი უნდა გაესვას თემების ხარისხს. საჭირო იყო ამ თემების დაბეჭდვა და გამოცემა, წინასწარ უნდა დაბეჭდილიყო თემები და დარიგებოდა ამხანაგებს, რომ შემდეგ მომხდარიყო მისი კოლექტიური დამუშავება. ეს საკითხი სრული 100 პროც. ვერ გავახორციელეთ, მაგრამ სათანადო ნაბიჯი გადადგმულია.

შემდეგია ენების შესწავლის საკითხი. უცხო ენის შესწავლა აუცილებელია ასპირანტისათვის, ამ მხრივ მართალია გადავდგით ნაბიჯი, მაგრამ ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრია ამ დარგში გასაკეთებელი.

მესამე კურსზე, როდესაც უდგებით სადისერტაციო შრომის შედგენას, ძალიან მცირე ნაწილმა იცის უცხო ენა. თავის თავად ცხადია, დისერტაციის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ეუფლება ასპირანტი დაეუფლოს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას, რამდენათ ექნება მას საშუალება კრიტიკულად გამოიყენოს ბურჟუაზიული მეცნიერების მემკვიდრეობა. ამის შესაძლებლობა კი მას მაშინ ექნება, თუ იქნება შეიარაღებული უცხო ენით.

საკავშირო ცაკის დადგენილება მოითხოვდა ასპირანტების სხვა სამუშაოზე მობილიზაციის წესით გაგზავნის აღკვეთას. ანალოგიური დადგენილება აქვს ცეკას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნილება არ სრულდება. მართალია, ვინაიდან პარტიული კადრები ცოტა გვყავს, იძულებული ვართ ადრე გამოვიყენოთ ეს ძალები, მაგრამ იქმნება საშიშროება, რომ პარტიული მეცნიერული კადრების მომზადება შეფერხდება. 17 ასპირანტიდან 12 უკვე დატვირთულია ადმინისტრატიული სამუშაოებით. აქ ორი გარემოება არის. ერთი ის, რომ იძულებული ვართ გამოვიყენოთ ეს ძალები უფრო ადრე, ვიდრე ისინი დაამთავრებენ მომზადებას. მეორე გარემოება ის, რომ ზოგიერთი ასპირანტი ხან და ხან განგებ იტვირთავს თავს. მაგალითად, ამხ. თოფურია (მე-3 კურსის ასპირანტი) დატვირთულია იმნაირად, რომ შეიძლება ასე ზოგიერთი პროფესორი არ იყოს დატვირთული. მას აქვს 1.300 საათი. ე. ი. გამოდის დღეზე 7 საათი და დღეში 7 საათით დატვირთვა ეს იმას ნიშნავს, რომ სასასპირანტოდ მუშაობას ეს ამხანაგი ვერ შეასრულებს.

## ამხ. შ. კალანდარიშვილი
(ისტორიულ-ლიტერატურული ფაკ.)

ის უდიდესი მიღწევები, რომლითაც ჩვენ ვამთავრებთ მიმდინარე სამოსწავლო წლის პირველ სემესტრს, შედეგი არის იმისი, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ და რექტორატმა თავისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით შეძლეს მუშაობის გაშლა ისე, როგორც ამას გვავალებს ცაკის 19 სექტემბრის დადგენილება. მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს მიღწევებზე. მე მინდა შევჩერდე ზოგიერთ საკითხებზე, კერძოთ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლის საკითხზე. პარტიული ორგანიზაცია აწარმოებს გაცხოველებულ ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე, მაგრამ ძირეულ ორგანოების პარტორგანიზაციის მუშაობაში ამ მხრივ კიდევ არის დეფექტები. არ კმარა, რომ მარტო ცალკე პარტუჯრედიებმა აწარმოონ ბრძოლა. თვითეული კომუნისტის, თვითეული უჯრედის, პარტჯგუფის საბრძოლო ამოცანათ უნდა გახდეს ის, რომ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლა. ამ მხრივ ისტორიულ - ლიტერატურულ ფაკულტეტზე ჩვენ გვაქვს საგრძნობი დეფექტები. მთელი რიგი ჩვენი პროგრამები ისტორიისა და ლიტერატურის დისციპლინებში მოითხოვს გადასინჯვას. პროგრამები შედგენილი არის კუსტარული წესით, არ მომხდარა მათი გარჩევა საჯარო სხდომებზე. ჯერ კიდევ ვერ შევძელით, რომ ზოგიერთი ლექციები დასტენოგრაფებული ყოფილიყო და ის შეცდომები, რომლებიც ლექციის დროს იყო დაშვებული, ყოფილიყო გამომჟღავნებული. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გარდავქმენით მუშაობა ჩვენი სტუდენტთა მასის სოციალისტური აღზრდის საქმეში. ავიღოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ შვიდასი სტუდენტიდან 350 სტუდენტი დარჩენილი არის პოლიტწრეების გარეშე. ალმასბიურომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ისინიც ჩავაბათ სწავლებაში მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. შემდეგი ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ძირა რგოლებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რუსული ენის შესწავლის საქმეს. ჩვენთან ჩამოყალიბებულია რუსული ენის სექცია, რომელიც ამზადებს რუსულ ენის სპეციალისტებს. მართალია სექციები გაიხსნა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტები ფორმალურათ ეკიდებიან საქმეს და აღმოჩნდა, რომ მათ არ გააჩნიათ რუსული ენის ცოდნა და არა თუ სამი წელიწადი, არამედ 6-7 წელია საჭირო, რომ მათგან გამოვიდეს სპეციალისტები.

საჭიროა სასწრაფოდ გამოსწორდეს მდგომარეობა ამ დარგში. კიდევ ერთი საკითხი. მთელ რიგ ფაკულტეტებზე გაშლილი გვაქვს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, მაგრამ შედეგების აღრიცხვა არ სწარმოებს. არ არის გამოყენებული წითელი და შავი დაფა. ზოგან მხოლოდ ფორმალურად არის ეს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. საჭიროა ამ მუშაობის სათანადო შემოწმება და ცრუ დამკვრელების გამოაშკარავება.

## ამხ. ბაბილოძე
(ეკონ. ფაკულტეტი)



როცა ვაჯამებთ ჩვენს მუშაობას, პირველ რიგში ხაზი უნდა გაუსვათ იმ მთავარ ამოცანას, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას. ეს არის ჩვენი სასწავლო გეგმების შესრულება და აქეთ უნდა იყოს მიმართული ჩვენი მთავარი ყურადღება, რათა შევძლოთ ადმინისტრაციასთან ერთად შევასრულოთ ეს ჩვენი პირველი და უმთავრესი ამოცანა. რა მდგომარეობა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ?

ის გარემოება, რომ ჩვენთან გაცდენები საკმაოდ დიდი არის, როგორც სტუდენტების მხრივ, ისე ლექტორების მხრივ და უფრო მეტად პარტიულ ამხანაგების მხრივ, ლაპარაკობს იმაზე, რომ პარტიულ ორგანიზაციას საკმაოდ ვერ აქვს გამახვილებული ყურადღება, რომ ავანგარდული როლი კომუნისტებისა ჯერ კიდევ არ არის საკმაო სიმაღლეზე დამდგარი. ეს გვაკისრებს ჩვენ რათა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ უფრო მაგრად დაარტყას დამნაშავეებს. ბრძოლა გაცდენებთან უნდა მოექცეს პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

უნდა ვაწარმოოთ გაცდენების ყოველდღიური აღრიცხვა, გავშალოთ აღმზრდელობითი მუშაობა, რომ მარტო თვის ბოლოს შეჯამებით არ გათავდეს საქმე. პარტორგებმა უნდა იბრძოლონ დასწრებისა და აკადემიურ წარმატებისათვის და თან თითონ უნდა სწავლობდენ სათანადოდ, რომ მათ ბაძონ სხვებმაც. არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ პარტორგი თითონ იყოს ჩამორჩენილი.

ძალიან ცუდია ის მდგომარეობა, რომ გავშალეთ სოციალური მეთოდებით მუშაობა, მაგრამ აღრიცხვის მხარე აქ დაგვავიწყდა. მომავალში ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ყურადღება უნდა ქონდეს მიქცეული აგრეთვე სტუდენტობის უნივერსიტეტის გარეშე მუშაობასაც. უნდა ვიცოდეთ რა ხდება საერთო საცხოვრებლებში, ეს ჩვენ ჯერ არა გვაქვს შესწავლილი. სინამდვილემ გვიჩვენა, რომ არავითარი კულტურული და აღმზრდელობითი მუშაობა არ სწარმოებს ამ საერთო საცხოვრებლებში. საჭიროა ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

## ამხ. ახობაძე
(საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი)

ყველა ის მიღწევები, რომლებიც აქვს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს, მოპოებულია ჩვენი პარტიული კომიტეტის უშუალო კონკრეტულ ხელმძღვანელობით, მაგრამ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს კიდევ აქვს მთელი რიგი დეფექტები, რომლებიც მოითხოვენ გამოსწორებას. პირველი — ეს ის, რომ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მუშაობა შეუძლებელია გარეშე მეცნიერული მუშაობისა, გარეშე ლაბორატორიების მოწყობისა. ჩვენი ლაბორატორიები კი, განსაკუთრებით ორგანიულ და არა ორგანიულ ქიმიაში, მოუწყობელია. ჩვენი სტუდენტები ორ-სამ დღეს უნდებიან ერთი დღის სამუშაოს იმის გამო, რომ არ არის რეაქტივები, არ არის ხელსაწყოები.

შემდეგი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ეს არის ლექციების შეთვისების შემოწმება. შეთვისების შემოწმება სისტემატიურად უნდა ხდებოდეს, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი პროფესორები არ ახდენენ შემოწმებას და ამ რიგად ვერ შესძლებენ სწორი ცნობების მიცემას იმის შესახებ თუ როგორია ჩვენი სტუდენტობის აკადემიური დონე.

შემდეგ, სახელმძღვანელოების საკითხი. სახელმძღვანელოები არა გვაქვს, კათედრები გვპირდებიან — დავსწერთო ზოგიერთი ამზადებს კიდეც, მაგრამ წლობით ყრია დაუბეჭდავი. საჭირო არის განსაკუთრებული ზომების მიღება ამ მიმართულებით.

ჩვენ დავათვალიერეთ საერთო საცხოვრებელი და სტუდენტებს გამოვკითხეთ თუ როგორ მეცადინეობენ ისინი. აღმოჩნდა, რომ გარდა კონსპექტებისა, არავითარი სახელმძღვანელოები მათ არ გააჩნიათ, პროგრამებიც კი არ ჰქონიათ შეძენილი მთელ რიგ დისციპლინებში.

როგორია ჩვენი პარტწევრკანდიდატების ავანგარდული როლი? უნდა ითქვას, რომ ჩვენს ფაკულტეტს ამაში აქვს სათანადო მიღწევები. ფრიადზე სწავლობს 35 პროც., კარგზე 29 პროც., დამაკმაყოფილებელზე 79,8 პროც., სუსტი 0,5 პროც. საჭიროა მოვთხოვოთ იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩამორჩენილი არიან, რომ დაუყოვნებლივ ჩააბარონ დარჩენილი საგნები.

## ამხ. ტუხაშვილი
(მუშფაკი)



**მუშფაკი წარმოადგენს უნივერსიტეტის ორგანულ ნაწილს, ის მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით.** მუშფაკს ჰყავს პარტორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს მუშფაკის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრის საქმეს. მუშფაკის პარტორგანიზაცია, რომელიც ითვლის 150 პარტწევრკანდიდატს იბრძოდა და იბრძვის სასწავლო გეგმების შესრულებისათვის. მუშფაკის პარტორგანიზაცია სისტემატიურად აყენებდა თავის დღის წესრიგში სასწავლო გეგმების საკითხს, ისმენდა გეგმის მოხსენებებს და სახავდა კონკრეტულ ღონისძიებებს გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამჟამად მუშფაკის პარტორგანიზაცია წარსულთან შედარებით იდეოლოგიურად სრულიად ჯანსაღი არის. ის იბრძოდა ყველა იმ მახინჯ მოვლენებისა და ხელისუფლების დადგენილებათა დარღვევების წინააღმდეგ, რომლებსაც ადგილი ქონდა მუშფაკის სინამდვილეში.

მუშფაკის პარტორგანიზაციამ დროულად დასვა საკითხი ლექტორების შერჩევის შესახებ. ჩვენ გვყავდა ლექტორები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც პედაგოგების წინაშე აყენებს კადრების მომზადების ამოცანა. ზოგიერთი ასეთი ლექტორები მოხსნილ იქნენ. დღეს გვყავს ისეთი ლექტორები, რომლებიც იბრძვიან სწავლების მაღალ ხარისხისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ გვყავს ისეთი ლექტორები, რომლებიც საამისო მუშაობას ჯერ კიდევ ვერ ატარებენ. უკანასკნელად, როცა უნივერსიტეტმა დეკემბრის თვე გამოაცხადა დამკვრელ თვეთ, მუშფაკმაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება მაგრამ ზოგიერთმა ლექტორმა მსმენელთა და ლექტორთა აბსოლუტური უმრავლესობის ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა. წავიდენ ზემდგომ ორგანოებში საჩივრით: მუშფაკი ზედმეტ საათებს ამუშავებს ლექტორებსო. ასე მოიქცა, მაგალითად, ამხ. ცხაკაია, კომუნისტის ცოლი. მაგრამ მოწუწუნეებმა საკადრისი პასუხი მიიღეს სწავლებისადმი ასეთი მოხელეური დამოკიდებულებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული ამხანაგები სწავლების საქმეში ზოგ შემთხვევაში ჩამორჩენილები არიან. არის შემთხვევა, რომ ოთხ-ხუთ საგანში სუსტი აქვს. პარტორგანიზაციამ დასვა საკითხი, რომ პარტიის წევრი, რომელიც ვერ სწავლობს სათანადოდ, უნდა წავიდეს მუშფაკიდან ან ისევ უნდა ისწავლოს, რომ წარჩინებად ითვლებოდეს.

## ამხ. ბუაჩიძე
(სამართლის ფაკულტეტი)

სამართლის ფაკულტეტი იდგა სერიოზული გარღვევების საფრთხის წინაშე. ამიტომ პარტორგანიზაციას მოუხდა მიღება მთელ რიგ კონკრეტული ღონისძიებების, რომ სასწავლო გეგმები შეგვესრულებია. ამ ღონისძიებების შედეგად დღევანდელი დღისათვის ფაკულტეტს სასწავლო გეგმები შესრულებული აქვს 94 პროცენტით. გაშლილია მუშაობა, რომ სემესტრის დამთავრებისათვის სასწავლო გეგმა მთელი ასი პროცენტით იქნას შესრულებული.

შრომის დისციპლინის დარგშიც დიდი გარღვევები გვქონდა. დღეს ეს გარღვევა მხოლოდ 1 პროც. უდრის, რაც მოწმობს, რომ სათანადო ზომებია მიღებული და ვიმედოვნობ, რომ ჩვენ დავიყვანთ ამ დარღვევას 0-მდე. კომუნისტების მიერ ლექციების გაცდენა უკვე დაყვანილია ნოლამდე.

ჩვენ გვყავს საუკეთესო, მაგალითის მიმცემი დამკვრელები. ესენი არიან ლომსაძე, ჯაფარიძე, დემეტრაძე და სხვები. გაშლილია მუშაობა, რომ გავზარდოთ კომუნისტების ავანგარდული როლი.

ჩვენ ფაკულტეტზე არის ოთხი კათედრა. ოთხივემ გარდაქმნა თავისი მუშაობა მაგრამ კიდევ ბევრი არის გასაკეთებელი.

შემდეგ იდეოლოგიურ ფრონტის შესახებ. სამართლის ფაკულტეტზე გასულ წელს ქონდა ადგილი სხვადასხვა დამახინჯებებს ლექტორებისა და სტუდენტების მხრივ. ჩვენ დაგვჭირდა ზოგიერთების გარიცხვა, მაგრამ ვიღაცას წყალობით ისინი დატოვებული იქნენ. სტუდ. ხუროძემ, მაგალითად, შარშან განაცხადა, რომ „წითელ დაფაზე აკრავენ მხოლოდ გუდურებსო". შემდეგ ის ლაპარაკობს, რომ „კომკავშირელის ლაპარაკი ეს არის კომკავშირული ლაყბობა". ჩვენმა ორგანიზაციამ მიიღო გადამჭრელი ზომები. საჭიროა ხუროძე და ძმანი მისნი მოვაცილოთ უნივერსიტეტს.

ჩვენ ვერ შევძელით გადაგვესინჯა პროგრამები. აქ კი ყველაფერი ვერ არის რიგზე. სისხლის სამართლის პროგრამაში არის მთელი რიგი შეცდომები. აქ მოგვიხდება დიდი მუშაობის ჩატარება, დაბოლოს, ამხანაგებო, სამართლის ფაკ. ორგანიზაცია სიტყვას აძლევს კონფერენციას რომ იგი გაშლის პარტმასიურ მუშაობას. რომ სასწავლო გეგმა 27 დეკემბრისათვის შესრულებულ იქნეს 100 პროცენტით.

## ამხ. მახარაშვილი

ამხ. მინდაძის მოხსენებამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტის პარტორგანიზაციას სასწავლო გეგმების შესრულების საქმეში, ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნის საქმეში, მარქსისტულ-ლენინურ სწავლების საქმეში უდიდესი მუშაობა აქვს ჩატარებული. იმ უდიდეს მუშაობაში, რომელიც ჩატარებულია ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში, საპატიო ადგილი უკავია უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის მთელი შემადგენლობის არა ნაკლებ 50 პროც.

ის მიღწევები, რომლებიც კომკავშირის ორგანიზაციამ მოიპოვა თავისი მუშაობის სხვადასხვა უბნებზე, მოპოვებულია პარტორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობის შედეგად.

თუ კომკავშირის ორგანიზაციას მოეპოვება მთელი რიგი მიღწევები სასწავლო გეგმების შესრულებაში, გაცდენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, პოლიტგანათლების ქსელის გაშლის საქმეში, კომკავშირის ორგანიზაციამ ყოველივე ეს მოიპოვა პარტორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობით, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცალკეულ უჯრედებს, ცალკეულ პარტჯგუფებს კომკავშირის ორგანიზაციებზე არ ჰქონდათ სისტემატიური ხელმძღვანელობა.

საკავშირო კ.პ. (ბ) ცკამ და ამიერკავკასიის **სამხარეო კომიტეტმა** და ამხ. ლავრენტი ბერიამ კომკავშირის ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობის საკითხებზე მოგვცა ფართო და გარკვეული დირექტივები. უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ ეს საკითხი ფართოდ დაამუშავა.

ამის შემდეგ ხელმძღვანელობა კომკავშირზე გაძლიერდა. ამხ. მინდაძემ თავის მოხსენებაში მოგვცა სამართლის ფაკულტეტის უჯრედის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის სურათი, ნაცლად იმისა, რომ გაეწიათ ფაქტიური ხელმძღვანელობა, ზოგი „ხელმძღვანელები" წვრილმან მეურვეობას იჩენდნენ. ასეთი იყო, მაგალ., გადაყენებული მალანიას სახით. იყო შემთხვევები რომ სხდომებზე გამოდიოდენ და ამბობდენ „მე პარტიისაგან ვარ თავლინებული, მე ვთქვი და ესე უნდა იქნესო"-ო, ეს არ ვარგა, ამხანაგებო, ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ის, რომ კონტროლი მუშაობაზე ზოგ რგოლებში სუსტი გვაქვს.

**ჩვენი მუშაობის საერთო წარმატება** მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირა რგოლების ნაყოფიერ მუშაობაზე. მაგრამ სამწუხაროდ ზოგი კომჯგუფორგი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე, ვერ არის სასწავლო გეგმების შესრულების კურსში და სხვ.

მაგალითად, რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენ [illegible]ვებით დამკვრელ ერთთვიურში პარტგა[illegible] არჩევნებისა და ყრილობასთან დაკავშირებით. როდესაც შევეკითხე პარტორგს, თუ რა გაკეთებს, რამდენი აქვს გაცდენილი საათები, რამდენის დამატებითი საათი იქნება წაკითხული, ის მიპასუხებს: მივიღეთ ზომები, ჯგუფს გამოაქვს დადგენილება, რომ გეგმა შესრულდეს, უერთდებით დადგენილებას და სხვ.

არავითარი კონკრეტული მასალა, არავითარი კონკრეტული სიტყვა და საქმე. კასე ასე მუშაობა შეიძლება? განა შეიძლება, რომ კომჯგუფორგმა არ იცოდეს, თუ რამდენი გაცდენა აქვს ჯგუფში, რამდენი დამატებითი საათია მისაცემი? ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი ძირა რგოლებში ზოგადობისაგან ვერ განვთავისუფლდით. საჭიროა კონკრეტულ-ოპერატიული მუშაობა. ცალკეულმა ძირა რგოლებმა, კომკავშირის ცალკეულმა ჯგუფებმა უნდა დააღწიონ თავი ზოგადობას. ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ ყოველ ჯგუფში იყოს შესაძლებელი ცალკე ჯგუფში, კათედრაზე და ფაკულტეტზე საქმის მდგომარეობის სურათის მიღება.

კომკავშირის ორგანიზაციას აქვს 67 პოლიტსკოლა. პოლიტსკოლების მუშაობა კარგი არის, ხელმძღვანელობაც კარგი არის, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი უნდა აღინიშნოს. პარტკომიტეტის დადგენილებით კომკავშირის პოლიტქსელში პროპაგანდისტთა 30—40 პროცენტამდე მაინც უნდა ყოფილიყვნენ პარტწევრ-კანდიდატები, მაგრამ პროპაგანდისტთა შემადგენლობაში პარტწევრკანდიდატების არ აღემატება 11 პროცენტს. ეს ძალიან დიდი ნაკლია ჩვენს მუშაობაში.

ჩვენ გავრიცხეთ კომკავშირიდან მებანდე, რომელმაც განაცხადა, რომ „ჩემი ფსიქოლოგია ვერ ეგუება კომკავშირსო", იგი გარიცხულ იქნა აგრეთვე უნ-ტის ასპირანტურიდან, მიუხედავად ამისა ის ამის შემდეგ მოწყობილ იქნა მუშფაკში და ასწავლის გერმანულს, თუმცა გერმანული სუსტათ იცის. (ხმა: ეხლაც იქ არის) მით უარესი. მენაბდე, რომელიც გადაგვარდა და ვერ ეგუება კომკავშირს, უნდა მოხსნილ იქნას მუშფაკიდანაც. შემდეგია ჩაჩუას საკითხი. ამ საკითხს აღარ შევეხები, რადგან მასზე აქ ბევრი ილაპარაკეს. შევჩერდები მხოლოდ გუგუშვილის საკითხზე, მისი ნაშრომი სწორად გააკრიტიკა პარტიულმა ორგანიზაციამ. გუგუშვილმა თვითონ აღიარა, რომ ამ წიგნში მას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ახლა თურმე ამხ. გუგუშვილი ძირეულ რგოლებში გამოდის და ამბობს, რომ თითქოს მას შეცდომები არ ჰქონია, თითქოს პარტკომიტეტის დადგენილება სწორი იყოს და ჯანელიძის რეცენზია კი არ იყოს სწორი. ამრიგად ამხ. გუგუშვილი გამოდის პარტკომის დადგენილების წინააღმდეგ, [illegible] ამხ. გ. ჯანელიძემ თავისი რეცენზია დასწერა პარტკომიტეტის დავალებით. ვფიქრობ, რომ ამხ. გუგუშვილის ამგვარი მანევრები ყოვლად დაუშვებელია.

დაბოლოს, უკანასკნელ საკითხზე—უმაღლეს სასწავლებლების საკავშირო შეჯიბრებაზე: კომკავშირის ორგანიზაცია პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩაება საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს კომკავშირის ორგანიზაციას სასწავლო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. კომკავშირის ორგანიზაცია უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობით, თავის რიგებში მტკიცე დისციპლინის, მტკიცე პასუხისმგებლობის შექმნით, კონკრეტულ-ოპერატიული მუშაობით შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრა პარტიული კონფერენციის წინაშე და მეორე საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით.

## ამხ. კეკელიძე
(ფიზ.-მათ. ფაკულტეტი)

მე მინდა შევჩერდე იმაზე, თუ როგორი მდგომარეობა გვაქვს ჩვენს ფაკულტეტზე. გასულ წელთან შედარებით ჩვენს ფაკულტეტს უსათუოდ აქვს მიღწევები სასწავლო გეგმის შესრულებაში. მაგრამ არის მთელი დეფექტები.

პროგრამები ყველა საგნებში გვაქვს, მაგრამ დაგვიანებით მივიღეთ, მაგ. ფიზიკის პროგრამა. შემდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროგრამები სიტყვა-სიტყვით წიგნიდან არის ამოწერილი. ფიზიკის შესწავლა პრაქტიკული მეცადინეობის გარეშე წარმოუდგენელია, პრაქტიკული მუშაობა კი არ ჩაგვიტარებია. ორი წელია იკითხება საგანი, ლაბორატორია კი არა გვაქვს.

მწვავედ ისმება აღრიცხვის საკითხი. ამას დღეს მთავარი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ზოგმა ლექტორმა აღრიცხვის საქმე სათანადოთ ვერ შეაფასა და არ აწარმოებდა მას და როცა სასწავლო ნაწილმა მათ გადაჭრით მოსთხოვა საჭირო ცნობები, მათ სინამდვილეში გამოცდები მოაწყვეს.

შემდეგ არის ზოგიერთი „წვრილმანები", რომლებიც ძლიერ გვიშლიან ხელს. ასეთი „წვრილმანებია" დაფა და ცარცი. დაფა ჩვენ განყოფილებაში თითქმის ზურგზე უნდა გეკიდოს. არც ერთი დაფა არ ვარგა და ზედ დაწერილს ვერაფერს დაინახავთ. საჭიროა ამ „წვრილმანებს" სერიოზული ყურადღება მიექცეს.

## ამხ. ი. ხირხელი
(ადგილკომი)

ამხანაგებო, მე ვფიქრობ რომ გუშინდელი და დღევანდელი დღე უსათუოდ ისტორიული არის ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამ შენობას ბევრი რამ ახსოვს, მაგრამ პირველად ხდება უპარტიო პროფესორთა აქ გამოსვლა პარტიულ კონფერენციაზე და მოისმინე მათი განცხადება, რომ ისინი ჩვენთან ერთად ეზიარებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ესალმებიან უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას და ჩვენ საერთოთ მთელს კომუნისტურ პარტიას და რომ ისინი ალფრთოვანებით ეგებებიან მომავალ მე-17 პარტყრილობას. ცხადია, ეს გამოსვლა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე მთავდება. სრულებითაც არა. ბოლშევიკური ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე კვლავ გრძელდება და მის დროშა ბოლშევიკურად უჭირავს ხელში უნივერსიტეტის პარტორგანიზაციას. მაგრამ ეს გამოსვლა არის უსათუოდ საყურადღებო გარდატეხა და მას ჩვენ ვაფასებთ, როგორც პარტიის გენერალური ხაზის სწორი გატარების შედეგს.

გადავდივარ ადგილკომის მუშაობაზე. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე [illegible] ადგილკომის პედ. ადმინისტ. ტექნიკური პერსონალისა. შედგენილი იყო სამუშაო გეგმები, რომელთა განხორციელებაც მან შესძლო, რის საყურადღებო არის ის, რომ უნივერსიტეტმა მიიღო გარდამავალი დროშა. ჩვენ სიფხიზლეობას ვიჩენდით ბრძოლაში იდეოლოგიურ ფრონტზე, უპარტიო პროფესორებისათვის მოვაწყვეთ სათანადო წრეები, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. შარია.

გარდა ამისა არსებობს ორი წრე ადმინისტრატიულ-ტექნიკურ პერსონალისათვის, ორი წრე წერა-კითხვის უცოდინარებისათვის. მთავარი იყო გაგვეშალა მუშაობა ადმინისტრატიულ და პედაგოგიურ პერსონალს შორის და გავაძლიერეთ კიდეც. საერთოდ წრეებში ჩაბმული გვყავს პედაგ. და ადმ. ტექნ. პერსონალის 94 პროცენტი.

გაშლილი გვაქვს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა ცრუდამკვრელები. უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიული ორგანიზაცია პარტკომის სახით დიდ და ყოველდღიურ დახმარებას გვიწევს ჩვენს მუშაობაში. სამწუხაროთ ამას ვერ ვიტყვით პარტიის ცალკე წევრებზე. რაც შეეხება კომკავშირს უნდა აღვნიშნოთ, რომ კომკავშირმა იკისრა დახმარების აღმოჩენა სოც. შეჯიბრის გაშლაში და დაპირებას პირნათლად ასრულებს.

## ამხ. ქ. ბარათელია
(ალმასბიურო)



აქ მე შევეხები უმთავრესად სოცშეჯიბრების და დამკვრელობის საკითხს. როდესაც კომკავშირის 15 წლის თავთან დაკავშირებით მოხსენება გვქონდა, მაშინ ამხ. მინდაძემ აღნიშნა, რომ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ჩვენთან ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურად არის და ასეც გამოვიდა. ჩვენ ვერ მოვახერხეთ სოცშეჯიბრის და დამკვრელობის შემოწმება უკანასკნელ ხანებამდე. ჩვენ ვღებულობთ ზომებს, რომ შემოწმების საქმე სათანადოდ მოვაგვაროთ. რაც შეეხება პროფწრეების მუშაობას, პროფწრეებში არა გვყავს ყველა ჩაბმული (10 პროც. მხოლოდ), დანარჩენების ჩაბმა აქამდე არ მოხერხდა და რა თქმა უნდა ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. [illegible] დიდ ნაკლად უნდა ჩაგვეთვალოს.

რაც შეეხება ყოფაცხოვრების საკითხებს აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობას უწევდა ჩვენი რექტორი ამხ. ლ. აღნიაშვილი და მთელი რიგი მიღწევები გვაქვს: გავაფართოვეთ სასადილო, მოვაწყვეთ საპარიკმახერო. წარსულ წელთან შედარებით სადილის ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა, მხოლოდ ბუფეტი ვერ მოვაწყვეთ ჯერ-ჯერობით რიგია-

გაგრძელება იხ. მე-4 გვ.

---

ბა ბრძოლაზე სტუდენტთა მატერიალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის; მოიკოჭლებს ნებაყოფლობით ორგანიზაციების მუშაობა. ძლიერ სუსტია ხელმძღვანელობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობაზე და საერთოდ წრეების მუშაობა არ არის კოორდინირებული.

საჭიროა მეორე სემესტრში დავსძლიოთ ყველა ჩვენი ძალები, მოვახდინოთ ყველა ჩვენი ძალების მობილიზაცია იმისათვის, რომ ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ყველა ის ნაკლოვანებები, რომლებიც პირველ სემესტრში გვქონდა.

უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, აღმოვფხვრათ ფორმალური მონაწილეობა შრომის ამ სოციალისტური ფორმების გაშლაში. უზრუნველვყოთ თითეული სტუდენტის, თითეული პროფესორ-ლექტორის და ტექნიკური მუშაობის **ნამდვილი** მონაწილეობა მასში.

ჩვენ ვიმყოფებით ლენინის პარტიის XVII ყრილობის მიჯნაზე, რომ-

მე-3 გვ.

ლიც ჯამს გაუკეთებს საკ. კ. პ. (ბ) ბოლშევიკურ ცეკას და ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით XVI ყრილობის შემდეგ ჩატარებულ მუშაობას, უდიდეს მიღწევებს, რომლებიც ჩვენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გვაქვს. მზადებამ XVII პარტყრილობისათვის გამოიწვია მასების ენტუზიაზმის ახალი აზვირთება. სამზადისს პარტყრილობისათვის მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი უნივერსიტეტიც. საჭიროა ეს ენტუზიაზმი ყოველმხრივ იქნას გამოყენებული მთელი ჩვენი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კომუნისტ - კომკავშირელთა ავანგარდული როლის უზრუნველყოფისათვის.

ჩვენ აქამდე სათანადოდ ვერ გავშალეთ ბრძოლა უმაღლეს სასწავლებელთა მეორე საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებლების შესრულებისათვის; ჩვენი უნივერსიტეტის ზოგიერთი რგოლები ოპორტუნისტულ შეუფასებლობას იჩენენ შეჯიბრებისადმი. მეორე სემესტრში ამ მხრივ უნდა მოვახდინოთ გადამჭრელი გარდატეხა. ბოლშევიკურად უნდა ვიბრძოლოთ **საკავშირო პირველობისთვის.**

# კამათი ამხ. ს. მინდაძის მოხსენების გამო.

ნად. ეს არის ჩვენი მორიგი გადაუდებელი ამოცანა.

რაც შეეხება სახსრების მობილიზაციას, ამისათვის იბრძოდა მთელი სტუდენტთა ორგანიზაცია. მეორე ხუთწლედის სესხი ჩვენ გავავრცელეთ სანიმუშოთ, რის გამო უნივერსიტეტმა მიიღო გარდამავალი დროშა. მაგრამ თანხების მობილიზაციის საქმეში ჩვენ ჩამოვრჩით მესამე კვარტალში.

შემდეგ მე სურდა მოკლეთ შევეხო იმას, თუ როგორია უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის და რექტორატის დახმარება. უნდა ბოლშევიკურად ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ უზრუნველყოფილი ვართ. არც ძველ უნივერსიტეტის და არც მის საფუძველზე მოწყობილ ინსტიტუტების სტუდენტთა ორგანიზაციებს არ ახსოვს ისეთი დახმარება, როგორსაც დღეს ამხ. ლ. აღნიაშვილი გვიწევს და სტუდენტებისადმი მისი ამ ყურადღების შედეგად ჩვენ შევძელით მიგვეღო ბევრი რამ ისეთი, რაც არც გეგმით და არც ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული.

პარტ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა კარგია, უჯრედების მუშაობა ცალკე ჯგუფებში მოისუსტებს, მაგრამ აქაც მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ახლა ორიოდე სიტყვა იდეოლოგიური ბრძოლის შესახებ. პროფ. მოსე გოგიბერიძეს ყველა იცნობს, მაგრამ ბევრმა არ იცის, თუ როგორ დაცინის ის კომუნიზმს და კომუნისტებს.

აი რას ასწავლის გოგიბერიძე სტუდენტებს: შეიძლება კაცი იყოს პარტიის წევრი, მაგრამ ფილოსოფიაში იყოს იდეალისტი.

მ. გოგიბერიძე არ კმაყოფილდება კომუნიზმის დაცინვით და სინანულს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა: „პირობებს არ ვიცნობდი, თორემ არ დავბრუნდებოდი საქართველოში"-ო. მოსე გოგიბერიძეს არც ახალი უნივერსიტეტი მოსწონს: „ამ კედლებს რცხვენიათ, რომ აქ წინეთ თავიანთი ხალხი იჯდა და ეხლა ნახევრად პროტექციით მიღებული ხალხი ხართ"-ო,—ეუბნება ის სტუდენტებს.

მე ვფიქრობ, რომ მ. გოგიბერიძის ამგვარ „ფილოსოფიას" და გამოსვლებს, ჩვენ საზღვარი უნდა დავუდვათ.

### ამხ. შ. სიხარულიძე
(ასპირანტურის ინსტიტუტი)

ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ სახელ. უნივერსიტეტის პირობებში სამეცნიერო კადრების მომზადების საკითხი დასმული არის ისე როგორც არასოდეს. ამხ. ლ. აღნიაშვილის ხელმძღვანელობით თავის დროზე ჩამოყალიბებული იყო სპეციალური ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს მეცნიერულ კადრებს ყველა იმ დისციპლინებში, რომლებიც ისწავლება სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად 12-დე სპეციალობაში ვამზადებთ მეცნიერულ კადრებს, პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევის საქმეს კადრების მომზადების დროს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ. ამავე დროს ჩვენს წინაშე პრაქტიკულ ამოცანადაა დასმული რომ რამოდენიმე კაცი, დაახლოვებით 10 ასპირანტი, პირველ იანვრიდან კვლევითი მუშაობის დარგში მივავლინოთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, როგორიც არის მოსკოვი, ლენინგრადი, და სხვ., რომ ჩვენი ასპირანტები გაეცნონ იმ დიდ გამოცდილებას, რომელიც აქვს მოსკოვს და ლენინგრადს.

ჩვენ გვყავს ასპირანტები, რომელთა კონკრეტული ხელმძღვანელობა და მომზადება ადგილობრივ შეუძლებელია. იმიტომ, რომ სათანადო ძალები არა გვყავს.

მეორე არის ქიმიური ფრონტი. აქ იმ წინააღმდეგობასთან ერთად, რომელსაც იჩენდენ და იჩენენ ახალგაზრდა კადრების მომზადების დარგში არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მათ არც კი შეუძლიათ მომზადება იმიტომ, რომ სათანადო აკადემიური მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც საჭიროა ახალგაზრდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში არ გააჩნიათ.

წელს გამოშვებული იქნება დაახლოვებით 40-მდე ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკი. ეს ორმოცი ახალგაზრდა სამეცნიერო მუშაკი თავიანთ მოვალეობას პარტიისა და მთავრობის წინაშე შეასრულებენ იმ შრომით, რომელზედაც ისინი ამჟამად მუშაობენ და რომლისა დაცვა სამეცნიერო დისერტაციის სახით სავალდებულო არის ყველა იმ ასპირანტისათვის ვინც წელს კურსს დაამთავრებს.

### ამხ. გასვიანი



მე უმთავრესად შევეხები მომარაგების საკითხს. ამ საკითხში პარტიულმა კომიტეტმა და ადმინისტრაციამ სათანადო ნაბიჯი გადადგეს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ჩამოყალიბების დღიდან. მომარაგების ძირითად ობიექტს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტთა დახურული კოოპერატივი. სტუდენტთა კოოპერატივის საშუალებით ხდებოდა ჩვენი სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა მომარაგება, ამ კოოპერატივის გახსნა მოხდა 1933 წ. თებერვლის რიცხვებში ყოველგვარი საბრუნავი თანხის გარეშე. წესდებით გათვალისწინებულია, რომ დახურული კოოპერატივს აუცილებლად თავიდანვე უნდა მიეცეს არანაკლებ 30.000 მანეთის საბრუნავი თანხა მას მიეცა მხოლოდ 10.000 მანეთი და ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იმ წერტების შესაკეთებლად, რომლებიც მან დიდი ბრძოლის შედეგად მიიღო სიდარაბო სექციიდან. კოოპერატივმა, მიუხედავად საბრუნავი თანხის უქონლობისა, თავისი საწარმოო საფინანსო გეგმა მთლიანად შეასრულა. სამი კვარტალის განმავლობაში ბრუნვა 684.000 მანეთს უდრიდა. ეს ხდებოდა ყოველგვარი საბრუნავი თანხის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ ბანკიდან მიღებულ მოკლევადიანი სესხებით.

ჩვენ უნდა მიგვეღო გორის მამული, რომელიც თვალსაჩინო როლს ითამაშებდა მომარაგების საქმის გაუმჯობესებაში, მაგრამ გორის მამული ჩვენ ვერ ჩავიბარეთ, რადგან დავალიანებული იყო, ამიტომ ჩვენ მიმაგრებული ვართ დამზადების სხვის რაიონზე. საერთოდ ეს საქმე უნდა გამოსწორდეს.

ჩვენ გავხსენით ნავთის წერტები, მართალია, ცოტა, მაგრამ მდგომარეობა ჩქარა გამოსწორდება.

სასადილოების საკითხს მიექცა ჯეროვანი ყურადღება. სადილების ხარისხი გაუმჯობესებულია, მაგრამ 1 მან. 10 კ. ღირს ორი კერძი და ეს ძვირია ჩვენი სტუდენტობისათვის. რაც შეეხება ბუფეტს, გასულ წელთან შედარებით მდგომარეობა უკეთესია, მაგრამ შესაკეთებელია მაგიდები და სკამები, ვიყიდეთ წყლის ასადუღებელი ქურქელი, მაგრამ დღემდე დაუდგმელია, შაქარი გადავეცით, ჩაი გვაქვს, მაგრამ წყალი ვერ აგვიდუღებია. საჭიროა ადმინისტრაციამ საბრუნავი თანხა გადასცეს კოოპერატივს. შემდეგ უნდა ავიღოთ საგარეუბნო მეურნეობა ან მივემაგროთ რომელიმე დამზადების რაიონს.

### ლ. ციხისთავი

როგორც ამხ. მინდაძის მოხსენებაში, ისე გამოსულ ამხანაგების სიტყვებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იდეოლოგიურ ფრონტს. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ამ მხრივ მიმდინარე წელს ჩვენმა პარტიულმა კომიტეტმა საგრძნობი მუშაობა გაშალა და გაამახვილა ყურადღება.

ორიოდე სიტყვით შევეხები „კლასთა ბრძოლის ისტორიას", რომელიც საშუალო სკოლისათვის არის გამოშვებული. სახელმძღვანელო, რომელიც იყო განსაზღვრული წარსულ სასწავლო წლისათვის, გამოცემული იყო იმ მითითებებით, რომელიც მოგვცეს მცოდნე ამხანაგებმა და კერძოდ ამხ. ბერიამ. ჩემთან მუშაობდა რამოდენიმე ავტორი, ზოგი ჩამორჩა, ჩამოშორდა. წიგნი არის მე-4 გამოცემა, დამუშავებულ იქნა კომპლექტების საფუძველზე, რომელიც წარსულ წლამდე ჰქონდა განათლების კომისარიატს.

სახელმძღვანელოს შედგენა მოითხოვდა განსაკუთრებულ შრომას და შემოწმებას თვითეული საკითხის, თვითეული დებულების, რადგანაც ამ სახელმძღვანელოში ვცდილობთ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უფრო დიდ ნაწილს 19-20 საუკუნის ისტორიას. მთელი ყურადღება მიმართული იყო იქითკენ, რომ ყველა ის მასალები, რომლებიც მოგვეპოვებოდა დაძლეული ყოფილიყო და სახელმძღვანელო გაფორმებული ყოფილიყო ერთის მხრივ პედაგოგიური თვალსაზრისით და მეორეს მხრივ პირველ რიგში გამართული ყოფილიყო იდეოლოგიურად, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ამოცანა სავსებით დაძლეული ვერ იქნა. ვერ იქნა დაძლეული განსაკუთრებით პედაგოგიური გაფორმება იმისათვის, რომ პრობლემები სახელმძღვანელოს შედგენისას წამოჭრილი იყო ძალიან რთული, ხოლო დრო ამ მასალის დამუშავებისათვის საშუალო სკოლებში მეტად მცირე იყო განკუთვნილი—90 საათი და 180. ხოლო მეორის მხრივ მრავალი პრობლემის დამუშავებისა და იმ სახით დალაგების დროს, რომ საშუალო სკოლისათვის მისაწვდომი ყოფილიყო, საკითხების გამარტივების შედეგად, ჩვენ სახელმძღვანელოში მრავალი იდეოლოგიური ხასიათის შეცდომა შეგვეპარა. ამ მხრივ სავსებით სამართლიანად იყო აღნიშნული პარტიულ კომიტეტის ბიუროზე მთელი რიგი ანტიპარტიული-ანტილენინური ხასიათის შეცდომები. მთელი რიგი მასალა სახელმძღვანელოში შეტანილი არის ქრესტომატიული წესით და ეს მასალა ჩვენ მიერ სრულიად შეუმოწმებლად, უკრიტიკოდ არის გადატანილი. ასეთია კომკავშირის ისტორიის საკითხი, სადაც აშკარა ანტიმარქსისტული, ანტიპარტიული გაშუქება არის კომკავშირის ისტორიის საკითხისა. მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც პირველ, ისე მეორე წიგნში, რომელიც უკვე მეოცე საუკუნის ეხება, მრავალ ანტიპარტიულ, ანტიმარქსისტულ გამოთქმებს აქვს ადგილი და არა სწორად არის გაშუქებული ესა თუ ის საკითხი მაგალითად, 1905 წლის რევოლიუციასთან დაკავშირებული საკითხები, საქართველოში და ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გათიშვის საკითხი და სხვ.

რასაკვირველია, აქ ვერ ჩამოვთვლი ყოველ ცალკე შეცდომებს, რომლებსაც ადგილი აქვს წიგნში. ამაზე თავის დროზე კომიტეტმა გაამახვილა ყურადღება, მაგრამ ერთს მინდა გავუსვა ხაზი, სახელდობრ იმას, რომ ჩვენი წიგნი უკვე მეხუთე გამოცემად გამოვიდა და ვფიქრობთ, რომ ის შეცდარი ადგილები დაძლეულია უკანასკნელ გამოცემაში, რასაკვირველია, შედარებით. ვფიქრობ, რომ ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც პირველი არის ჩვენს სინამდვილეში, ძნელია და მას მრავალი დაბრკოლება ელობება, მაგრამ, ამხანაგებო, კრიტიკა მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ეს წიგნები გავაუმჯობესოთ და ახალგაზრდობას მივცეთ მარქსისტულ-ლენინური სახელმძღვანელო.

### ამხ. ძულიაშვილი

მე მინდა შევჩერდე თავდაცვის საკითხზე, რომელსაც ყველა ჩვენი ორგანიზაციები ჯერ არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. მიუხედავათ იმისა, რომ დროზე იქნა დაყენებული ამ საქმის გაჯანსაღების საკითხი, ძირითადმა უჯრედებმა არ მიაქციეს მას ყურადღება და ამ რიგად ეს საქმე ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. თუმცა წინანდელთან შედარებით გარღვევა ამ დარგში დაყვანილია მინიმუმამდე, მაინც საჭიროა უჯრედებმა ამ საქმეს მიაქციონ დიდი ყურადღება.

### ამხ. ორბელიძე

ამხანაგებო, აქ ამხ. ტუხაშვილმა ილაპარაკა მუშფაკის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე. მუშფაკის წარსული მუშაობასა და მიმდინარე მუშაობას შორის დიდი განსხვავება არის. როდესაც ყოფილი პედაგოგიური მუშფაკი შეუერთდა საფინანსო-ეკონომიურ მუშფაკს, ლექტორთა შორის მოხდა დაჯგუფება, ეს დაჯგუფობრიობა აუცილებლად გავლენას ახდენდა სასწავლო გეგმების შესრულებაზე. ამ საკითხს პარტორგანიზაცია დროზე გამოეხმაურა. დღეს ისეთი ლექტორები გვყავს, რომლებიც ყოველდღიურად იბრძვიან გეგმების შესრულებისათვის, ზოგიერთის გამონაკლისით. მუშფაკს არ ჰქონია მოგვარებული სასადილოს საკითხი, არ ჰქონდა საპარიკმახერო, ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო, დახურული განმანაწილებელი. იმ დღის შემდეგ, რაც ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა მუშფაკს სათავეში ახალი ხელმძღვანელობა—დირექცია, პროფორგანიზაცია და პარტორგანიზაცია ხელიხელჩაკიდებული იბრძოდა და იბრძვის ყოველივე იმ ნაკლის აღმოფხვრისათვის, რომელიც აქამდე იყო მუშფაკში.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა მუშფაკში სათანადოთ არის გაშლილი, მაგრამ თვითეული მსმენელი არ არის ჯერ კიდევ შესწავლილი, არ არის გამორკვეული თუ როგორ ასრულებს ის თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს, როგორ ამართლებს დამკვრელის სახელს. ეს არის ჩვენი მორიგი ამოცანა.

### ამხ. ქვარცხავა



კომკავშირის უნივერსიტეტის ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა ჩაატარა პარტიის ხელმძღვანელობით. კომკავშირის ძირეულმა ორგანიზაციებმა გარდაქმნეს თავისი მუშაობა ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჩვენ ყველაფერი კარგათ გვაქვს, რომ ყველა ძირეული რგოლები თავის სიმაღლეზე არიან.

ჩვენს წინაშე დასმულია მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანა. თითეული სტუდენტი უნდა სახლშიაც მუშაობდეს თუ მას უნდა მართლა გამოვიდეს ყოველმხრივ მომზადებული.

ჩვენს წინაშე გარკვევით ისმება საკითხი, რომ ჩვენი მუშაობა გარდაიქმნას იმ მიმართულებით, როგორც ამას გვკარნახებს პარტია და ხელისუფლება, რათა შესრულებულ იქნეს ის საბრძოლო ამოცანები, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლების მეორე შეკრება გვისახავს.

უნივერსიტეტის კომკავშირის 2000 შეკრიანი ორგანიზაცია დაპირებას აძლევს პარტკონფერენციას, რომ ისე როგორც დღემდე, მომავალშიაც იბრძოლებს ამ ფრონტზე, კიდევ უფრო გაამახვილებს ყურადღებას, რომ ბოლშევიკურად უზრუნველყოს ჩვენი შემდგომი მუშაობის წარმატება იმ ამოცანათა შესასრულებლად, რომელსაც გვაკისრებს პარტია და ხელისუფლება.

### ამხ. მირიანაშვილი

ეკონომიური ფაკულტეტი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს სასწავლო გეგმის შესრულებისათვის, მაგრამ ჩვენ გარღვევები გვაქვს საათების შესრულების დარგში. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ ფაკულტეტზე 38 ჯგუფია, ბევრი მათგანი სწავლობს საღამოობით და გაცდენების მეტი წილი მათზე მოდის. არ არის მართალი, რომ ლექტორები არ იბრძვიან გეგმების შესრულებისათვის, არიან ლექტორები, რომლებიც იბრძვიან, არიან ლექტორები, რომლებიც სისტემატიურად აცდენენ ლექციებს. იყო მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ლექტორი ნახევარი საათით იგვიანებდა, ადრე ათავებდა ლექციას, ეს არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი, რომელიც აფერხებს ჩვენს მუშაობას.

ჩვენ ვიღებთ ზომებს ამის წინააღმდეგ, მაგრამ საჭიროა უფრო რადიკალური ზომების მიღება.

ადგილკომი არ იღებს მონაწილეობას გაცდენების წინააღმდეგ ბრძოლაში. კეთ მიჩვენებთ თქვენ ვერც ერთ ოქმს, სადაც აღნიშნული იქნება რაიმე ზომები იმ ლექტორების მიმართ, რომლებიც აცდენენ. ასეთი ოქმი არ არსებობს. ეს მე ვიცი დანამდვილებით. ან კიდევ თუ შეუძლია დაასახელოს ადგ-კომმა რამდენი ცრუდამკვრელი გააკრა შავ დაფაზე? თქვენ ამბობთ, რომ შეჯამებული არა გაქვთ ცნობები. მაგრამ რატომ გასულ წელს თქვენ არ აღნიშნეთ ის ლექტორები, რომლებიც სისტემატიურად აცდენდნენ. შემდეგ ხირსელმა განაცხადა, რომ წერემ ოთხი მეცადინეობა ჩაატარა. ამხ. შარია აქ არის და ის, მე ვფიქრობ, იტყვის, რომ ოთხი მეცადინეობა არ ჩაუტარებია. იყო მხოლოდ ერთი მეცადინეობა, რომელზედაც ოცი წუთის განმავლობაში ილაპარაკა ამხ. შარიამ.

შემდეგ ისმება საკითხი, თუ როგორ იბრძვის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ჩვენ გარღვევები გვაქვს, ეს აიხსნება იმით, რომ პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ იბრძოდა. ამხ. ბიბილეიძე თითქოს თავს იმართლებდა. პარტიის უჯრედის მდივანის ხელმძღვანელობა იმას ნიშნავს, რომ მან იცოდეს თუ როგორ იბრძვის გეგმისათვის პარტიის თითეული წევრი, არ არის საკმარისი თავის მართლება.

აქ იდგა კომკავშირის ორგანიზაციაზე ხელმძღვანელობის საკითხი. ამხ. ძულიაშვილს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეკონომ. ფაკ. უჯრედის ხელმძღვანელობა კარგი იყო. ეს თავის მოტყუება იქნება. კომკავშირის ორგანიზაციას, რომელიც [illegible] იბრძვის გეგმის შესრულებისათვის, სათანადო ხელმძღვანელობა არ ჰქონდა.

ეხლა პოლიტწრეების შესახებ. აქ განაცხადეს, თითქოს გადაჭარბებულ ზომებს ვღებულობთ იმ კომუნისტების მიმართ, რომლებიც აცდენენ.

მაგრამ მე ვიცი, რომ ეკონომიურ ფაკულტეტზე ხშირად ჰქონია გაცდენას ადგილი და ზომები არ ყოფილა მიღებული.

### ამხ. ჩოდრიშვილი
(მუშფაკი)

მუშფაკის მუშაობაში აუცილებლად არის გარდატეხა. ძველ ხელმძღვანელობას არ ჰქონდა მიქცეული ყურადღება სასწავლო გეგმების შესრულების ხარისხზე. ამ საქმისათვის საჭიროა სათანადო კაბინეტები, რაც მუშფაკს აქვს, მაგრამ ძირითადად ეს კაბინეტები მოუწყობელია, ეხლა ამხ. ლ. აღნიაშვილის განკარგულებით ეს კაბინეტები იწყობა, და მალე დადგება სათანადო სიმაღლეზე. პროგრამები არ იყო დაბეჭდილი და დაყვანილი თითეულ მსმენელამდე, ეხლა ეს საკითხიც გამოსწორდა. გეგმების შესრულებისათვის, რასაკვირველია, დისციპლინის განმტკიცებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ამ მხრით არ შეიძლება შევადაროთ რა იყო წინეთ და რა არის ეხლა.

ჩვენი მსმენელების მდგომარეობა მატერიალურად და სხვა მხრივაც გაუმჯობესებულია საერთო საცხოვრებლით, სადილით, ბუფეტით. ამ ერთი თვის წინედ ჩვენ ჩავატარეთ შემოწმება აკადემიურ დარგში. დეკემბერი გამოვაცხადეთ დამკვრელ თვედ. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პარტიულები და კომკავშირელები მეტად ჩამორჩენილები იყვნენ, ახლა კი იმათ გამოლეს სათანადო მუშაობა და ჩამორჩენილების მეტი წილი გამოსწორდა და ზოგმა მათგანმა უკვე დაიკავა ავანგარდული როლი.

კეთდება დიდი საქმე, ვატარებთ უდიდეს მუშაობას, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი ლექტორები გამონაკლისს შეადგენენ და ამ დიდ მუშაობას გაურბიან. ამიტომ მართალი იყვნენ ამხანაგები, რომლებმაც განაცხადეს, რომ არ გვჭირია ლექტორები, რომლებიც მთელი თავისი არსებით არ არიან ჩაბმული ახალი უნივერსიტეტის შექმნაში.

### ამხ. ხ. კირისი-ოღლი

პარტიულმა კომიტეტმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა. ჩვენს ორგანიზაციაში აქამდე ადგილი ჰქონდა სხვადასხვა დაჯგუფებებს, მაგრამ პარტკომიტეტის ჯანსაღი ხელმძღვანელობის შედეგად ამჟამად ორგანიზაცია სავსებით გაჯანსაღებულია.

ჩვენი ორგანიზაცია იბრძვის არა მარტო იდეოლოგიურ ფრონტზე, არა მარტო სასწავლო გეგმის შესრულებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ უნივერსიტეტის ვეებერთელა აპარატში არც ერთი კუნჭული არ დარჩეს მეთვალყურეობის გარეშე. მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება იმ საკითხებზე, რომელზედაც მომხსენებელი არ შეჩერებულა. ეს არის ბიბლიოთეკის მუშაობა, ლიტოგრაფიის მუშაობა და სხვა.

ჩვენი ბიბლიოთეკის დანიშნულება არის—მიაწოდოს წიგნები სამეცნიერო მუშაკებს და სტუდენტებს, რომლებსაც ყოველდღიურად სჭირდებათ, მაგრამ რა მდგომარეობა არის ამ მხრივ. ბიბლიოთეკამ ვერ წარმართა შესაფერად თავისი მუშაობა მას უფრო აინტერესებდა ტექნიკური საქმე, ერთი კატალოგიდან მეორეში გადაწერა და სხვა. თანამშრომელთა 60 პროც. შეადგენენ ყოფილი თავადაზნაურები, რომლებსაც გული არ შესტკივათ სტუდენტთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებ სათვის. ცალკე პირებს აუარებელი წიგნები აქვს წაღებული სახლში, მაგ. მრევლიშვილს 180 წიგნი აქვს წაღებული, ა. ერქომაიშვილს 189 და ასე შემდეგ.

ახლა ლიტოგრაფიის შესახებ. ლიტოგრაფიაში თავმოყრილი იყო სრულიად უცხო ხალხი. ადგილი ჰქონდა მავნებლობას, მფლანგველობას და სხვა. მაგრამ ჩვენი პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მოხდა ლიტოგრაფიის გადახალისება და გაჯანსაღება.

შევეხები პარტიის წევრთა რაციონალურად გამოყენებას. ამ მხრივ პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით უდიდესი გარდატეხა მოხდა. თუ ხუთი-ექვსი თვის წინათ თითეულ სტუდენტს 5-10 დატვირთვა ჰქონდა, ეხლა ასეთ გადატვირთვას ადგილი არა აქვს.

### ამხ. ი. არევაძე

დაახლოვებით ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მე მოხსენება მქონდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის შესახებ, რაც ჩემ კათედრას ახასიათებდნენ. ნაწილი მაშინდელი მითითებებისა უკვე გამოსწორებულია და მიღწევებიც გვაქვს. ჩვენ ფაკულტეტზე ჩატარდა პროგრამებისა და ლიტერატურის გადათვალიერება. რომ ჩვენ მუშაობას მეტი ნაყოფი მოეცა, ვიშოვეთ სტანდარტული პროგრამები რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებისა. დავამუშავეთ ეს პროგრამები. ნაწილმა ჩვენი დოცენტებისა, მაგალ., ნ. კეცხოველმა მიიღო შესწორებები, რომლებიც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა, ფხაკაძემ კი არ მიიღო და განაცხადა, რომ შეცდომები არ არის. ჩვენ ეს დავარტყით სათანადოდ. პროფესორმა მოსეშვილმა გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს შესწორებას, მაგრამ შემდეგ აღიარა მათი სისწორე და აღგვითქვა მათი შეტანა, მაგრამ ეს დაპირება ჯერ არ არის განხორციელებული და არც განხორციელდება ვიდრე სახელმძღვანელოს არ მოგვცემს. პროფესორი მოსეშვილი დღემდე ხელმძღვანელობს სმიტის სახელმძღვანელოთი, რაც ჩვენთვის მიუღებელია იდეოლოგიურადაც და როგორც მეცნიერულად ჩამორჩენილი. რუსეთში გამოვიდა ა. ოკოვსკის, ვ. კოლუზის და ა. ბოგომოლოვის „ზოგადი და არაორგანიული ქიმიის კურსი".

ცხადია, რომ ამ წიგნით ხელმძღვანელობა ყოვლად შეუძლებელია. თუ გვინდა, რომ პროგრამები ცხოვრებაში გავატაროთ, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ის სახელმძღვანელოები, რომლებიც არაორგანიული ქიმიის პროგრამებში არის აღნიშნული.

შემდეგ ხელმძღვანელობა ასპირანტებზე: ჩვენთან ქიმიის კათედრაზე ვერ არის ხელმძღვანელობა კარგი. გარდა სუბიექტიური დაბრკოლებისა, ერთ-ერთი მიზეზთაგანია ლაბორატორიის მოუწყობლობა. ჯერ-ჯერობით მდგომარეობა არ არის გამოსწორებული.

ზოოლოგიის შესახებ: მიუხედავათ იმისა, რომ კათედრის გამგემ არ შეიძლება არ იცოდეს სტუდენტთა ცოდნის ზუსტი აღრიცხვის აუცილებლობა, ის ხშირად ეუბნება სტუდენტს: — „ფრიადები" გამომელია, „კარგს" დაგიწერო. — როგორ შეიძლება ნიშნების პროცენტებით დასმა, ვისაც რა ეკუთვნის უნდა დაუწეროს.

### ამხ. ლომსაძე

ჩვენი გამომცემლობა აგვიანებს პროგრამების დაბეჭდვას და ეს ხელს უშლის ჩვენს მეცადინეობას. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს. შემდეგი საკითხი არის ჩვენი საკლუბო მუშაობის სისუსტე. იმ დროს, როდესაც კლუბმა უნდა გაშალოს ფართო მუშაობა და გადაიქცეს კულტურის კერათ, მისი წრეობრივი მუშაობა, მისი სამზადისი აქა თუ ამ დღესასწაულების დროს ან კონფერენციის დროს სრულებით არა ჩანს. საჭიროა საკლუბო მუშაობას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

ახლა კომკავშირზე ხელმძღვანელობის შესახებ. ძველმა შემადგენლობამ ვერ შესძლო ამ საკითხის მოგვარება. ხელმძღვანელად მიმაგრებული იყო გახრწნილი ელემენტი — მალანია, რომელმაც მბრძანებლობა დაიწყო. მალანია გარიცხული იქნა ორგანიზაციიდან და მიცემულია პასუხისგებაში, როგორც გამფლანგველი. რაც შეეხება იდეოლოგიურ ფრონტს, აქ საჭიროა ყურადღების კიდევ უფრო გამახვილება.

თავმჯდომარე: რაც შეეხება პროგრამების დაბეჭდვას, ამ მხრივ ნაკლი გამოსწორებულია; დღემდე გადაცემული ყველა პროგრამა დაბეჭდილია.

### ამხ. ვეკუა

ფიზიკო-მათ. ფაკულტეტს დღეს აკადემიურ ცხოვრებაში დონის ამაღლების მხრივ უკავია ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი. ეს შედეგია იმ სწორი ხელმძღვანელობის, რომელსაც უწევდა მას პარტორგანიზაცია და რექტორატი. ეს მომასწავებელია იმისა, რომ ფიზ.-მათ. ფაკულტეტის სტუდენტობა დიდი ენერგიით იბრძვის თავის აკადემიური დონის ამაღლებისათვის. წარსულ წლებში არავის არ ახსოვს ისეთი წარმატებითი მუშაობა, როგორიც ეხლა არის. ეს წარმატება გვიჩვენებს კათედრის გამოცოცხლებას. მართლაც მათემატიკის კათედრა, ფიზიკის კათედრა საკმაოდ გამოცოცხლდა, მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა დარგები გაგვიჯანსაღებია და აღარა გვაქვს სხვა საბრძოლო ამოცანები.

ფიზ.-მათ. ფაკულტეტზე არსებობს დარგი: მათემატიკური და ფიზიკური. თუ მათემატიკური დარგი უზრუნველყოფილია სხვადასხვა ლიტერატურით და მოწყობილობით, ეს არ ითქმის ფიზიკურ დარგზე. ფიზიკური დარგი ცუდათ არის მოწყობილი. რასაკვირველია ამას ექცევა ყურადღება ზემდგომი ორგანოების და განსაკუთრებით რექტორატის მხრივ, რომელიც აწარმოებს ამ მიმართულებით დიდ მუშაობას, მაგრამ დღეს ფიზ. ლაბორატორია არა დგას თავის სიმაღლეზე. ლაბორატორია ისე უნდა მოეწყოს მეორე სემესტრისათვის, რომ შეიძლოთ მუშაობის წარმოება.

თუ აქამდე ფიზიკურ დარგში კადრების მხრივ გვქონდა ნაკლი, ახლა ბოლო ეღება ამ მდგომარეობას. მთელი რიგი ამხანაგები მუშაობენ ფიზიკურ დარგში. წელს ჩვენთან მუშაობს ახალგაზრდა მეცნიერი მირიანაშვილი, აგრეთვე რუსეთში არიან მთელი რიგი ამხანაგები, რომლებიც ჩამოვლენ და დაიწყებენ ჩვენთან მუშაობას.

ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგი არის ასტრონომია. ასტრონომიის კათედრა არავითარ მუშაობას არ აწარმოებს და ცოტა გვყავს კადრები. ჩვენ ეს დარგი გარღვევიდან უნდა გამოვიყვანოთ. ასტრონომია, რომელიც დღეს იკითხება უნივერსიტეტის კედლებში, არის მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ასტრონომია.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ აუცილებლად ასტრონომიის კათედრა გამოვიყვანოთ გარღვევიდან და შევქმნათ სათანადო პირობები მისი განვითარებისათვის და მოვამზადოთ ასტრონომიის კადრები.

მე აქ ავღნიშნე, რომ ჩვენი სტუდენტები, დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან საქმეს, მართლაც, ჩვენ სტუდენტობაში არიან მეტად დიდი წარმატების მქონე ამხანაგები, მაგრამ არიან ამავე დროს ამხანაგები, რომლებიც ვერ აფასებენ აკადემიურ მუშაობას. ბევრი კომკავშირელი და პარტიულიც ყოყოჩობას იჩენს, უგულოდ ეკიდება აკადემიურ მუშაობას. თუ ცოტა რამ გაუგებრობა ექნებათ ლექტორთან, მორბიან დეკანატში, ან ჩემთან პირადათ და აცხადებენ, რომ ამა და ამ ლექტორმა ჩამჭრა, მე დავსვამ საკითხს პარტორგანიზაციაშიო და სხვა. აჰ და ასეთი მაგალითი: ერთ-ერთი სტუდენტი პროფ. გუგუშვილს აბარებს საგანს და აძლევს ბარათს, რომ მე ცეკაში ვარ დაბარებული და გამომძახეთ რიგს გარეშე. ის გამოცდაზე გავიდა პირველ რიგში, მაგრამ გამოცდის შემდეგ იქვე იყო აუდიტორიაში. ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი და მას სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. ასეთ ყოყოჩობას და უდისციპლინობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

### ამხ. თოფურია

მე შევეხები იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს, ვინაიდან აქ არის ერთი მომენტი, რომელიც პირადათ მე შემეხება.

პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით გამომჟღავნებული იქნა მთელი რიგი იდეოლოგიურათ მიუღებელი სახელმძღვანელოები. მაგალითად, პროფ. შალამბერიძის სახელმძღვანელო, რომლითაც მთელ რიგ წლების მანძილზე ისწავლებოდა ფიზიკური ქიმია და არავის ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. პარტიული კომიტეტის ბრიგადამ გამოამჟღავნა ეს იდეოლოგიური ხლამი.

შემდეგ გუგუშვილის, ჩიჩუას და სხვ. შესახებ. პარტიულმა კომიტეტმა ყველა ჩამოთვლილი პირების ნაწერები და მოქმედება შეაფასა ღირსეულად და დაარტყა, განსაკუთრებით ჩიჩუას, რომელმაც განავითარა ის აზრი, რომ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციიდან წარმოიშვა კომკავშირი და მიჩქმალა ახალგაზრდა მარქსისტთა ფაქტიური სახე. ჩიჩუას გამოსვლა იყო არა კომუნისტური და ამ გამოსვლას არა კომუნისტურად შეხვდა ამხ. ციხისთავი და მე. ჩვენ ვერ გავეცით მას სათანადო პასუხი. ამიტომ სავსებით სწორი იყო ის შეფასება, რომელიც ჩვენს საქციელს მისცა პარტიულმა კომიტეტმა.

### ამხ. ერ. ბურჭულაძე



ყველა ის მიღწევები და მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც მოეპოვება ჩვენს უნივერსიტეტს ყველა უბნებში და ყველა მიმართულებით და რაც შედეგია პარტიული ორგანოს სწორი, ბოლშევიკური მუშაობის. ეს შედეგია იმის, რომ პარტ. კომიტეტმა სწორად გაანაწილა თავისი ძალები ყველა უბნებში და რომ მან უზრუნველყო ყველა უბნების ბოლშევიკური ხელმძღვანელობა. არ არის კუნჭული, სადაც ბოლშევიკური ფხიზელი თვალი არ აღწევს, რის შედეგად მჟღავნდება დეფექტები ჩვენი მუშაობისა.

### დამკვრელი პროფესორი



... სურგულაძე
საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი

სამწუხაროდ ძირა რგოლი, რომელსაც პარტორგანიზაცია მთავარ ყურადღებას აქცევს და სამართლიანადაც, ცალკე შემთხვევებში კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე.

არის ფაქტები, რომ ზოგ შემთხვევაში დასტოვეს ამხანაგები, რომლებიც შენიშნული იყვნენ სუსტ მუშაობაში, არა სწორ ხელმძღვანელობაში. ეს მიგვაჩნია ჩვენ პარტჯგუფორგანიზატორის ერთგვარ შეუფასებლობათ. შეიძლება ითქვას რომ არა სწორად მოიქცნენ უჯრედები განსაკუთრებით ეკონომიური ფაკ. უჯრედი, როცა სიხარულიძე მოსე დასტოვეს გაფრთხილებით, როცა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჯალაღანია დასტოვეს გაფრთხილებით, როცა სამართლის ფაკ. ბურდული, ჟღენტი დარჩენ გაფრთხილებით, იმ დროს, როცა ისინი პირადი მიღწევებით ვერ ამჟღავნებდენ ავანგარდულ როლს და ვერ ხელმძღვანელობდენ წესიერად. მათ მისცეს გაფრთხილება და დასტოვეს. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი დირექტივის აშკარა დარღვევა არის. ჩვენი უნივერსიტეტის სინამდვილეში ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა ცალკე ფაკულტეტებზე, განვამტკიცოთ ძირა პარტრგოლები, შევარჩიოთ საუკეთესო ბოლშევიკები და მათი მეოხებით უზრუნველვყოთ ამ ძირა რგოლების განმტკიცება. პარტიულმა კომიტეტმა მიიღო რა ეს სახეში, გადადგა სათანადო ნაბიჯი: დაარსებულია სპეციალური სემინარი პარტჯგუფორგანიზატორებისათვის, სადაც სისტემატიური მუშაობით შევძლებთ გაუწიოთ მათ კონკრეტული ყოველდღიური დახმარება მუშაობის ყველა ხაზით. მაგრამ ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს ცალკე უჯრედების ბიუროებს. ფაქტია ის, რომ არ იყო საკმაო ხელმძღვანელობა პარტუჯრედების ბიუროებისა პარტორგანიზატორების მიმართ. ამას უნდა მოეღოს ბოლო. უნდა ითქვას, რომ პარტიული ბიუროები მთლიანად ვერ მუშაობენ გამართულად. ჩვენ გვაქვს, როგორც ვიცით, სტრუქტურა სექტორების მიხედვით. ჩვენი პარტბიუროების სტრუქტურა შეიცავს რამოდენიმე სექტორს. ამართლებენ თუ არა ყველა ეს სექტორები თავის დანიშნულებას? ჩვენი აგიტმასიური სექტორები ჯეროვნად ვერ მუშაობენ. ამ მხრივ უდიდესი გარდატეხა უნდა მოვახდინოთ. ამ მხრივ მუშაობა კიდევ წინ გვაქვს. ცალკე კარგ სექტორებიდან საუკეთესო მაჩვენებელს იძლევა კულტ-სექტორი. სამეცნიერო სექტორი თითქმის არ მუშაობს. ეს უნდა აღინიშნოს და გამოსწორდეს.

ეხლა ჩვენ ვემზადებით პარტწმენდისათვის და პარტყრილობისათვის, რის შესახებაც აქ იყო ლაპარაკი და მათ ჩვენ უნდა შევხვდეთ მეცნიერების დაუფლებით, აკადემიური მიღწევებით, მასიური მუშაობით, უჯრედებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა ყველა ამხანაგების შესწავლისათვის, უჯრედმა უნდა გაამახვილოს ყურადღება ამ მიმართულებით, მან უნდა შეისწავლოს ცალკე კომუნისტების მუშაობა და თუ სად მე ექნება ადგილი ანტიპარტიულ გამოსვლებს, მათ სასტიკად უნდა დაარტყან.

რეზოლუციის მიღების შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება.

### ამხ. მაღრაძე

უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია აერთიანებს 450 წევრს, აქედან 264 პარტწევრი და 186 პარტკანდიდატი. სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშა — 193 (43 პროც.), კოლმეურნე — 23 (5,5 პროც.), გლეხი — 29 (6,3 პროც.), მოსამსახურე — 142 (31,70 პროც.), სხვადასხვა — 63. ეროვნების მიხედვით: ქართველი 340, სომეხი 3, აჭარელი 4, სხვადასხვა — 3. სქესის მიხედვით: მამაკაცი 402, ქალი 48. პარტსტაჟის მიხედვით: 1917 წლამდე — 1, 1917-21 წლამდე — 4, 1921-26 წლამდე — 10, 1926-29 წლამდე — 61, 29 წლიდან დღემდე — 188. დასწრება უდრის — 442, აქედან პარტწევრი 261 (99 პროც.), პარტკანდიდატი 181 (97,5 პროც.), საერთოდ პარტწევრკანდიდატთა დასწრება უდრის 98,3 პროც.

რაიონული კონფერენციის დელეგატების და პარტიული ორგანოების არჩევნების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

# ახალი გამარჯვებებისაკენ კულტურული მშენებლობის დარგში. მეტი სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე

## განათლების სახ. კომისრის ამხ. გედიას სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე

ამხანაგებო, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. 31 ოქტომბრის დადგენილებისა და ჩვენი პარტიის მე-8 ყრილობის შემდეგ გავლილი პერიოდი, შეადგენს დიდ ისტორიულ ეტაპს, ის წარმოადგენს ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპს საქართველოს კომპარტიის ისტორიაში.

ამ პერიოდში ჩვენმა პარტიამ, თავის [illegible] ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა უბნებზე. უდიდესი წარმატებანი, რომლებიც ჩვენი პარტიის მიერ არის მიღწეული ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური და კულტურული მშენებლობის დარგში, [illegible] ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა.

[illegible] საქ. კ.პ. (ბ) [illegible] გატარების საფუძველზე. ხსენებულ გამარჯვებათა გადამწყვეტი წინამძღვარი იყო შეუბრალებელი ბრძოლა. კლასობრივ მტრების, მენშევიზმისა და ტროცკიზმის ნაშთების, და პარტიის გენერალურ ხაზიდან ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ და მთელი პარტორგანიზაციის შემჭიდროება, მონოლიტურობა და მისი ნებისყოფის ერთიანობა.

ამ წლების განმავლობაში საქართველოს კომპარტიამ გაანადგურა ჯგუფობრიობის, ატამანშჩინის ელემენტები და აზროვნებდა და მოქმედებდა ერთიანად, როგორც არასდროს.

მშენებლობის ყველა უბნებზე მიღწეული წარმატებები და გამარჯვებები შესაძლებელი გახდა ჩვენი ც. კ. და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ლენინურ - სტალინურ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობის გამო. ამ წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენ ამხ. ლავრენტი ბერიას განუხრელ, ბოლშევიკურ ლენინურ - სტალინურ ხელმძღვანელობით და ჩვენ შეგვიძლია ყრილობაზე განვაცხადოთ მთელი დარწმუნებით, აშკარად და გულწრფელად, რომ ამ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობით ჩვენ მოვიპოვეთ ახალი ბრწყინვალე გამარჯვებები უკლასო სოციალისტურ საზოგადოების აგების საქმეში.

ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს სახალხო განათლების, უმაღლეს სკოლის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, რომლებმაც **მთლიანად დაადასტურეს სტალინის თეზისი ფორმით ნაციონალურისა და შინაარსით სოციალისტურ კულტურის აყვავების შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.**

ნაციონალურ - კულტურულ მშენებლობის საკითხებს ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებით ეკიდებოდა. საანგარიშო პერიოდისთვის ჩვენ გვაქვს ცეკას ოპერატიული დადგენილებები დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლისა და მხატვრულ ლიტერატურის შესახებ, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენი კულტურის შემდგომ გაშლას.

უნდა აღინიშნოს, როგორც დიდი მიღწევა პარტორგანიზაციების მუშაობაში ის მდგომარეობა, რომ **პარტიული ორგანიზაცია მთლიანად, ოპერატიულად ხელმძღვანელობდა კულტურულ მშენებლობის ფრონტს.**

თავის ბრწყინვალე მოხსენებაში ამხ. **ბერიამ** ილაპარაკა ნაციონალურ - კულტურულ მშენებლობის დარგში არსებულ მიღწევებისა და ამოცანების შესახებ. მე მინდა ყრილობის ყურადღების გამახვილება, უმთავრესად, ჩვენს ნაკლზე კულტურულ რევოლუციის ფრონტზე.

**უმაღლეს განათლების დარგში,** საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში უმაღლესი განათლება თითქმის არ არსებობდა. ამჟამად ჩვენ გვაქვს 11 უმაღლესი და უმაღლეს ტექნიკური სასწავლებელი 10.777 სტუდენტით და 157 ტექნიკუმი 25.166 მოწაფით. უმაღლესმა სასწავლებლებმა და ტექნიკუმებმა მნიშვნელოვნად გადაახალისეს თავის მუშაობა; ისინი გადაყვანილი არიან ახალ სასწავლო გეგმებზე, პროგრამებზე და სწავლის მეთოდებზე, რომლებიც დამუშავებულია საკავშირო ცაკის დადგენილების საფუძველზე. საკავშირო ცაკის დადგენილების შემდეგ ჩატარებულია უმაღლეს სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გამსხვილება, რამაც სავსებით ჰპოვა გამართლება; ჩატარებულია აგრეთვე სპეციალობათა გამსხვილება, ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მოთხოვნილებებთან შეფარდებით უმნიშვნელოვანესი მიღწევაა სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწყობა, რომელიც იძლევა ბრძოლის შესანიშნავ ნიმუშებს მეცნიერულ კადრებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მომზადების ხაზით.

**სკოლის შასაკამდე განათლების დარგში** საქართველო უკან რჩება ა.-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებს. სკოლის შასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში ჩაბმულ ბავშთა რაოდენობა უდრის 59.507, რაც შეადგენს 22,7 პროც. ჩვენი საბავშო ბაღების შენობათა მდგომარეობა და მოწყობილობა არადამაკმაყოფილებელია, სათანადოთ არ არის იქ დაყენებული კვების საქმეც და ა. შ. დახმარება, რომელსაც ჩვენი წამოწყებები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები უწევენ სკოლის შასაკამდე აღზრდის დაწესებულებებს, ჯერ ჯერობით სრულებით არადამაკმაყოფილებელია. ამიტომ ჩვენ გვაქვს სკოლის შასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი.

საკითხი დაწყებითი და საშუალო სკოლის შესახებ პარტორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამხ. **ბერიამ** აქ განაცხადა **სკოლების მიმართ ოპერატიულ, კონკრეტ ხელმძღვანელობის აუცილებლობაზე,** რადგან სახალხო განათლების ხარისხის შემდგომი ზრდის გადამწყვეტ წინამძღვარს წარმოადგენს ბოლშევიკური, ოპერატიული ხელმძღვანელობა.

მოსწავლეთა ცოდნის, სასკოლო რეჟიმისა და დისციპლინის ამაღლების საქმეში გარკვეული ძვრებისა და მიღწევების არსებობის მიუხედავად ჩვენ მაინც ჩამოვრჩებით პარტიის მოთხოვნილებებს. დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სკოლაში წარმოებული მუშაობის ხარისხი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც წამოყენებულია უკლასო სოციალისტურ საზოგადოების აგების ეპოქაში. აქედან ნათელია, თუ რა მზრუნველობას და ყურადღებას იმსახურებს ჩვენი დაწყებითი და საშუალო სკოლა.

ჩვენ განვიცდით **სასკოლო შენობების, სახელოსნოების და დაწყებითი და საშუალო სკოლის მოწყობილობათა ნაკლიობობას.** საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლებში ითვლება 19.399 ჯგუფი., რომელთათვისაც საჭიროა 35.268 საკლასო ოთახი და ჩვენ კი გვაქვს არა უმეტეს 13.000 საკლასო ოთახისა. ამიტომ, სასკოლო მშენებლობა მოქცეულ უნდა იქნეს ყველა ჩვენი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

ჩვენ, უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სასკოლო მშენებლობაზე დავხარჯეთ 27 მილიონ მანეთზე მეტი, მაგრამ ეს სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სასკოლო მშენებლობის, რემონტის, პოლიტექნიკურ სახელოსნოების და შრომის ოთახების ორგანიზაციისათვის გარდა ჩვენი საბიუჯეტო სახსრებისა, მიზიდულ იქნეს თვით მშრომელთა სახსრები; სკოლაზე შეფობის წესით უნდა იქნეს მოზიდული აგრეთვე ჩვენი საწარმოების, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობების სახსრები. მხოლოდ ამგვარ დახმარების საფუძველზე შევძლებთ ჩვენ უახლოეს წელში მოვსპოთ ჩამორჩენა, მოვსპოთ სკოლის ძირითადი ნაკლი და სწავლის ხარისხი ავიყვანოთ ჩვენი, სოციალისტური



მეურნეობის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკითხი **მასწავლებლის შესახებ.** უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასწავლებლობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, იზრდება მათი ხელფასი და უმჯობესდება მომარაგება. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს ჩვენი საბჭოთა მასწავლებლის — სახალხო განათლების ამ წამყვან ფიგურის მატერიალურ-უფლებრივი პირობების უხეშად, დარღვევას. არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც რიგი რაიონებისა თვეების განმავლობაში არ უხდიან მასწავლებლებს ხელფასს. საქართველოს 27 რაიონში 33 წლის იანვრისათვის ხელფასის დავალიანება შეადგენდა 1.636 ათას მანეთს ე. ი. თვიურ ხელფასის ფონდის [illegible] პროცენტს. 1933 წ. 1 დეკემბრისათვის დავალიანება იყო 2 მილიონ მანეთზე მეტი. მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს მასწავლებელთა ხელფასის გაცემის წესის შესახებ ცეკასა და სახკომსაბჭოს დადგენილებათა უხეშ დარღვევას.

**ამხ. ბერიას მითითებას სკოლების მიმართ ოპერატიულ ხელმძღვანელობის შესახებ, უნდა მოჰყვეს მისი ბოლშევიკურად შესრულება. სკოლა გარემოცული უნდა იყოს ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა და ფართო პროლეტარულ საზოგადოებრიობის ყურადღებითა და მზრუნველობით.**

**სტუდენტთა ქალაქი** ტფილისში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება. ცეკას დადგენილება სტუდენტთა ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ ჯერაც არ არის შესრულებული ტფილისის საბჭოს მიერ საერთო საცხოვრ. ჩვე გვაქვს სტუდენტთა 30 პროცენტისათვის მხოლოდ წელს უნდა გაგრძელდეს სტუდენტთა ქალაქის მშენებლობა და ცეკასა და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სტუდენტთა ქალაქში ავაგოთ ერთი-ორი მსხვილი საერთო საცხოვრებელი და დავასრულოთ სტუდენტთა ქალაქის კეთილმოწყობის ხაზით წარმოებული სამუშაოები.

**მასობრივ კულტმუშაობის დარგში,** უკანასკნელ წლების განმავლობაში ხდება კულტურულ დაწესებულებათა რიცხვის ზრდა და მუშაობის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესება. 1933 წ. საქართველოში ითვლებოდა 63 საპროფკავშირო კლუბი, 172 სოფლის კლუბი, 829 ქოხ-სამკითხველო, 159 მოძრავი კინო და სხვა.

მასობრივ კულტმუშაობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა და მას აქვს მრავალი ნაკლი, განსაკუთრებით სოფლად.

ამის მთავარი მიზეზია — სოფლის პოლიტგანდაწესებულებათა არადამაკმაყოფილებელი მატერიალური ბაზა, პარტიულ ორგანიზაციების არა საკმაო ყურადღება და ხელმძღვანელობა, სახალხო განათლების ორგანოების არა შესაფერისი მუშაობა და პოლიტგანმუშაკების ასუსტი შემადგენლობა.

აუცილებლად უნდა მივაღწიოთ **პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობის ხარისხის შემდგომ გადაჭრით გაუმჯობესებას** მათი მატერიალურ - ფინანსიური ბაზის გამტკიცებით კულტმუშაკთა კადრებით გამაგრებით და პარტიულ ორგანიზაციებისა და სახალხო განათლების ორგანოების მხრით მათ მიმართ ხელმძღვანელობის გაძლიერებით. განსაკუთრებით საჭიროა კოლმეურნეთა და მშრომელ გლეხობის მასების დარაზმვა სოფლად წარმოებულ კულტმშენებლობის ირგვლივ.

პარტიის ბელადის ამხ. **სტალინის** ლოზუნგი იმის შესახებ, რომ „ყველა კოლმეურნენი უნდა გახდენ შეძლებულნი, რომ ყველა კოლმეურნენი — ყოფილი ღარიბები და ყოფილი საშუალონი აყვანილ იქნენ შეძლებულთა დონემდე. დონემდე იმ ადამიანთა, რომლებიც სარგებლობენ პროდუქტების სიუხვით და ეწევიან სავსებით კულტურულ ცხოვრებას“— მოითხოვს ჩვენგან **როგორც საჭიროა, ისე მოვკიდოთ ხელი ახალ კულტურულ საკოლმეურნეო სოფლის მშენებლობას.**

კოლმეურნეობებს უნდა ქონდეთ არა მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო მუშაობის გეგმა, არამედ მათ უნდა ქონდეთ თავის კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის მტკიცე გეგმები, რომლებიც დამუშავებული იქნება კოლმეურნეობის მოთხოვნილებების, კოლმეურნეობის და თვით კოლმეურნეთა მატერიალურ შესაძლებლობათა აღრიცხვის საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა ოჯახების [illegible], კულტპოლიტ მუშაობის კეთილმოწყობის და სხვა დარგებში. აუცილებელია, რომ ჩვენს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში ფართოდ იქნეს გაშლილი წითელ კუთხეების და სოცკულტურის სახლების მშენებლობა.

ამხ. ბერიამ მწვავედ დააყენა საკითხი, ბრძოლის შესახებ იდეოლოგიურ ფრონტზე და უპირველეს ყოვლისა ისტორიის ფრონტზე, სადაც სრულებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა და ადგილი აქვს დაუშვებელ ჩამორჩენას.

**ამხ. ბერიამ ბოლშევიკურად ამხილა ამხ. ფ. მახარაძის ისტორიულ ნაშრომებში არსებული უხეში პოლიტიკური შეცდომები.**

ამხ. ფილიპემ ყრილობის წინაშე არ აღიარა ეს შეცდომები, ის არ შეეცადა მოეცა თავის შეცდომების გაშლილი და გადამჭრელი კრიტიკა. ის ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ შეასრულებს ყრილობის სურვილს და შეეცდება ამ შეცდომების გამოსწორებას. გამოდის, რომ ამხ. ფილიპე არ აღიარებს დაშვებულ შეცდომების სიდიდესა და მნიშვნელობას, მას არა აქვს კეთილი ნება და სურვილი ბოლშევიკურად გამოასწოროს ისინი, ის, ასე ვთქვათ, თანხმდება დაუთმოს ყრილობას და სცადოს თავის შეცდომების გამოსწორება.

ეს განცხადება სრულებით არადამაკმაყოფილებელია და ეს არა შემთხვევაში არ წარმოადგენს ამხ. მახარაძის მხრით იმ შეცდომების აღიარებას, რომელთა შესახებ ლაპარაკობდა ამხ. ბერია. ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში და, უპირველეს ყოვლისა, ამხ. ფილიპე მახარაძის ნაშრომებში თქვენ ვერ იპოვით ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციების საფუძველმდებლის, ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის დიად სახეს. შემთხვევითია თუ არა ეს ამხ. მახარაძის ნაშრომებში? ცხადია, ამხ. ფილიპეს გულწრფელად უნდა ეღიარებია, რომ ეს არ არის შემთხვევითი, რომ ის თავის ისტორიულ ნაშრომებში: „1905 წელი ა.-კავკასიაში“ და „მუშათა მოძრაობის ისტორიას“ ვერდა იმ პერიოდის ოპორტუნისტულ იდეებისა და გრძნობების გავლენის ქვეშ, როდესაც ის იმყოფებოდა ნაციონალ - უკლონისტურ პოზიციაში და შეგნებულად უვლიდა გვერდს და კრიტს არ სძრავდა, ა.-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიზმის ბელადის, მის საფუძველმდებლის ამხ. **სტალინის** შესახებ.

**ამხ. ფ. მახარაძემ** შეგნებულად, ბოლშევიკურად, გულწრფელად და რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა გამოასწოროს პარტიის ისტორიის საკითხებში დაშვებული თავის უხეში პოლიტიკური შეცდომები.

საჭიროა ყურადღების გამახვილება აგრეთვე ამხ. **მამია ორახელაშვილის ნაშრომებზე, რომელშიაც დაუშვა მთელი რიგი უხეში პოლიტიკური შეცდომები.**

თავის წიგნაკის „პროლეტარულ რევოლუციის საკითხები“ მე-17-ე გვერდზე ამხ. **მამია** წერს: „1911 წ. კაუტსკიმ თავის წიგნში... წამოაყენა ორი გამოსავალი წერტილი სოციალისტური გადატრიალების. პირველი - „კლასობრივ ბრძოლაში გამაგრებულ პროლეტარიატის პოლიტიკური გამარჯვება“ და მეორე — „არსებულ ეკონომიურ სისტემის და ნგრევა ხალხთა შორის ომში“...

ბოლო ცხობილია, რომ კაუტსკი, მუშათა კლასის პოლიტიკურ გამარჯვებათ წარმოდგენილი აქვს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დაპყრობა. ამხ. **ორახელაშვილი** ამ მენშევიკურ თეზისს ასახიერებს პროლეტარულ რევოლუციის გამოსავალ თეორიად.

ამ წიგნში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ სიტყვას პროლეტარულ რევოლუციის ლენინურ-სტალინურ თეორიაზე, სიტყვას ვერ შეხვდებით ლენინისა და სტალინის მოძღვრებაზე კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონების შესახებ, იმპერიალიზმის სუსტი რგოლის შესახებ, სარევოლუციო სიტუაციაზე, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაზე.

იმავე წიგნაკის მე-28-ე გვერდზე ამხ. **მამია** წერს: „უნდა ძლიერი, ორგანიზაციულად დარაზმული და საკუთარი დისციპლინით ჩაკვირვებული არ უნდა იყოს როგორიც ქვეყნის პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელობის მცხობი რევოლუციური მასები, რაც უნდა გმირობით გაჟღენთილი იყოს ის, ვერ შეძლებს საერთაშორისო იმპერიალიზმი... გაანადგუროს საერთაშორისო ასპარეზზე. მას შეუძლია დაამხოს საკუთარი ბურჟუაზია, შემუსროს საკუთარი იმპერიალიზმი, ხოლო მარტო საკუთარი ძალებით ის ვერ შეძლებს მსოფლიო ბურჟუაზიის დამხობას, ვერ შეძლებს დიდი ხნით გაუძლოს მსოფლიო იმპერიალიზმის ალყას და დაეცემა, თუ მას არ გამოეხმაურა სხვა ქვეყნების რევოლუციური კლასი, თუ მას არ მიეშველა პროლეტარული რევოლუცია ზოგიერთ მოწინავე და ძლიერ სახელმწიფოში“. (ადგილიდან: ეს ტროცკიზმია). დიახ, ეს ტროცკიზმია და ამიტომ საჭიროა მისი გამომჟღავნება.

**ამხ. ორახელაშვილი** ერთხელაც არ ცდილა, განსაკუთრებით ამხ. **სტალინის** წერილის—„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების“ შემდეგ პარტიულ კრებებზე ან პრესაში გამოესწორებინა ეს შეცდომა. (ადგილიდან: ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს). დიახ, მაგრამ არა პოლემიკის წვეტიანი ხერხით, მოვამჟღავნოთ კიდეც.

იმავე წიგნში ლიბერალურ -ოპორტუნისტული დამოკიდებულება კაუტსკისადმი, მუშათა კლასის ამ გაუსწორებელ მტრისადმი. 42 გვერდზე ის წერს: „ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილის დაკავება, ინტერნაციონალის უმთავრესი თეორეტიკოსის და მარქსიზმის ... ხვდა კ. კაუტსკის. ის შეიქნა უდიდესი ავტორიტეტი საერთაშორისო სოციალიზმის და როგორც გრანდიოზის ... ფილოფიტი— ის სისწორით აღიქვამდა თავის შრომაში ყოველ ახალ ... მსოფლიოს მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში, დიალექტიკურ მატერიალიზმის მეთოდით ... ცხოვრების ... და ოსტატურად გადმოშლიდა მათ ... მათ შიგნით ... ისტორიულ აზრს“. ცხადია, რომ აქ ... კაუტსკის იდეალიზაცია, მისი მენშევიკური შეფასება. კაუტსკი არასდროს არ ყოფილა რევოლუციური მარქსისტი: ის იყო ... ბელადი, ყველაზე საშიში რევიზიონისტი და ოპორტუნისტი, რომელიც ბოლოს აღმოჩნდა მენშევიზმის და სოციალ-ფაშიზმის ... ფლანგზე.

მოვიგონოთ ლენინის აზრი კაუტსკიზე, როგორც რევოლუციურ მარქსიზმის ყველაზე საშიშ მტერზე.

გაიხსენეთ მარქსის პირველი აზრი კაუტსკიზე. ის წერდა: „როდესაც ეს ლამაზი ყმაწვილი პირველად მოვიდა ჩემთან — მე ვლაპარაკობ კაუტსკის შესახებ—პირველი კითხვა, რომელიც მე აღმოხდა იყო: ჰგევხარ თუ არა თქვენ, თქვენს დედას?—სრულიადაც არა, მიპასუხა მან, [illegible] მე მიულოცე მის დედას. ის არის ჩვეულებრივი ნიჭის, ვიწრო შეხედულებით, ზედმეტი ყველაფრის მცოდნე, ერთგვარად ბეჯითი, ბევრს მეცადინეობს სტატისტიკაში, მაგრამ გამოაქვს აქედან ცოტა, ბუნებით ეკუთვნის ფილისტერთა გვარს“.

ვფიქრობთ ნათელია, რომ **ამხ. ორახელაშვილმა** უხეში შეცდომა დაუშვა.

მეორე თავის წიგნაკში —„ა.-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელში“—ამხ. **მამია** წერს: „1905 წლის რევოლუცია ჩვენ, ბოლშევიკებმა, მოვახდინეთ მენშევიკებთან ერთად, როდესაც მთლიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჩვენ წარმოვადგენდით რევოლუციონურ ფრთას“.

როგორც ხედავთ, ამხ. **მამია** ახდენს მენშევიზმის იდეალიზაციას და მენშევიზმს 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში, აყენებს ერთ სიბრტყეზე ბოლშევიკების პროლეტარულ რევოლუციონურ პარტიასთან.

ბოლოს, წიგნი, რომელსაც აქვს პრეტენზია მოგვცეს ბოლშევიზმის ისტორიის ნარკვევი 1905—1917 წ. წ. რევოლუციების გასაქანი — სრულიად გვერდს უვლის ამხ. **სტალინს.** მე მოვიყვან მხოლოდ ერთ ციტატას: „ძალებისა და ტეხნიკურ შესაძლებლობათა მიხედვით, ამ კრუ პერიოდში ბოლშევიკები ცდილობდნენ არ ჩაექროთ რევოლუციონური სული პროლეტარიატისა და გლეხობის შორის. მათ მოაწყვეს საკუთარი სტამბა პროკლამაციებისა და ფურცლების საბეჭდავად, სცემდენ ჟურნალებს: „ბოლშევიკი“ 1908 წელში და „ტფილისის პროლეტარი“ — 1909 წ. (გამოვიდა სულ სამი ნომერი, მოწინავე წერილი პირველ ნომრისათვის დაწერილია ამხ. **კობა სტალინის** მიერ).

აი ყველაფერი, რაც აქ არის თქმული ამხ. სტალინზე, ბოლშევიზმის ბელადზე ა.-კ.-სიაში, და სულ, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე არის დაშორებული ყველაფერი იმას, რასაც ამ ტრიბუნიდან ლაპარაკობდა ამხ. ლ. ბერია ამხ. სტალინის როლისა და მისი დიადი დამსახურების შესახებ ა.-კავკასიისა და საქართველოს რევოლუციონურ მოძრაობაში.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიის ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ.

**გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის ახლანდელ პირობებში ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე.** ჩვენ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა მტრულ იდეოლოგიების ყოველგვარ გამოვლინების, ოპორტუნიზმის ყველა სახეების წინააღმდეგ და გავშალოთ, მარქსის — ლენინის — სტალინის რევოლუციონურ თეორიის სერიოზული და ღრმა პროპაგანდა.

მე ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა ჩემი რწმენა, რომ მთელი **კულტურული არმია და უპირველეს ყოვლისა კულტურის ფრონტზე მომუშავე ბოლშევიკები, შეამჭიდროვებენ თავის რიგებს პარტიის გარშემო, ცეკას გარშემო, ა.-კავკასიის პარტორგანიზაციების და საქართველოს კომპარტიის საყვარელ ხელმძღვანელის —ამხ. ბერიას გარშემო.**



**კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერები შიმშილობენ**

**სურათზე** — ბერლინელი პროფესორი ძველი საფოსტო ბარათების გაყიდვით შოულობს ლუკმა პურს



სასპორტო დარბაზი პლეხანოვის სახელობის კლუბთან (ტფილისი)

# ყურადღებით შევისწავლოთ პირველი სემესტრის შედეგები —ბოლშევიკურად ჩავატაროთ მეორე სემესტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი სემესტრის შედეგები

თავისი არსებობის ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტს უდიდესი მიღწევები აქვს იმ ამოცანების განხორციელების გზაზე, რომელიც დასახა უმაღლეს სასწავლებლების წინაშე საბჭოთა კავშირის ცაკ-მა თავისი 19 სექტემბრის დადგენილებით.

პარტია და ხელისუფლება ახალ ამოცანებს აყენებს უმაღლესი სასწავლებლების წინაშე, ამოცანებს, რომელნიც გამომდინარეობენ სოციალისტური მშენებლობის ახალი მოთხოვნილებებიდან. სოციალისტური მშენებლობის ახალი მოთხოვნილებებიდან. ჩვენ შევედით მეორე ხუთწლედის პერიოდში. მთავარი ახლა მდგომარეობს იმაში, რომ „ახალი მშენებლობის პათოსი შევავსოთ ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის ათვისების პათოსით". ამით განისაზღვრება უმაღლესი სკოლის ამოცანებიც. უმაღლესმა სკოლამ უნდა უზრუნველყოს ახალი კადრების მომზადების მაღალი ხარისხი. სწორედ ამ მოთხოვნილებიდან დაიბადა სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება და ხდება არა მარტო ახალი კადრების მომზადების სამჭედლოთ, არამედ მთელი კულტურულ-იდეოლოგიური და მეცნიერული მუშაობის ცენტრად საქართველოში.

განვლილი სემესტრი—თავისი ნაყოფიერი შედეგებით წარმოადგენს ნაბიჯს წინ უნივერსიტეტის ზრდისა და განმტკიცების გზაზე.

### დაკომპლექტების ჩატარება

მიმდინარე სასწავლო წელში უნივერსიტეტში მიღებულ იქნა 850 სტუდენტი. მიუხედავათ თავის დროზე მიღებულ ზომებისა კონტიგენტის შესავსებათ (განცხადებები პრესაში, ინფორმაციის დაგზავნა რაიონებში) შემომსვლელთა შედარებით სიმცირისა და მ. თი მომზადების დაბალი დონის გამო—მიღების ჩატარება რამოდენიმედ გაჭიანურდა. შემომსვლელთა სიმცირე იმით აიხსნება, რომ მიმდინარე წელში 9-წლედების ათწლედებათ გადაკეთების გამო არ ყოფილა გამოშვება, ხოლო სპეცტექნიკუმების კურსდამთავრებულები უმთავრესად სამუშაოზე იგზავნებოდნენ. ამ გარემოებამ საჭირო გახადა რამდენიმე მისაღები გამოცდის ჩატარება, რომ კონტინგენტი ყოფილიყო შევსებული. შედეგათ ჩვენ მივაღწიეთ კონტინგენტის შევსებას უნივერსიტეტისათვის შესაფერი მომზადების მქონე სტუდენტებით. აღსანიშნავია, რომ გასული წლისათვის დამტკიცებული კონტინგენტი იმდენად მცირეა, რომ ყველა პროფილი რომელიც არსებობს უნივერსიტეტში არ არის უზრუნველყოფილი თითო ჯგუფითაც კი (ისტ.-ლიტ. ფაკულტეტის უცხო ენათა და ლიტერატურის სექციალობა, ბიოლოგიური სექცია საბუნებისმეტყველო ფაკ-ზე). ეკონომიურ ფაკულტეტებზე მიღებულ იქნა გაცილებით უფრო მცირე რაოდენობა, სტუდენტობისა, ვიდრე ამას მოითხოვს სათანადო სამეურნეო ორგანოებისა და კომისარიატების კადრების მომზადების გეგმები.

### პროფესორულ-პედაგოგიური პერსონალი

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პროფესორ-პედაგოგთა შერჩევას. ეს შერჩევა მიზნათ ისახავდა: კომუნისტური ბირთვის ზრდას პროფესორ-ლექტორთა შორის და არა საკმაო კვალიფიკაციის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერული კადრების შეცვლას.

თუმცა პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობის კომუნიზაციის დღევანდელი დონე არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს; აგრეთვე ზოგიერთ დისციპლინებში ჩვენ იძულებული ვიყავით დაგვეშვა პედაგოგიური მუშაობის ხანგრძლივი სტაჟის არ მქონე პირებიც, მაგრამ გასულ წელთან შედარებით აქ უდაო მიღწევები გვაქვს.

ამჟამად 265 პროფესორ-მასწავლებლიდან ჩვენ მოგვეპოვება 63 კომუნისტი და 16 კომკავშირელი.

სამეცნიერო თანამდებობის მიხედვით: პროფესორი 69, დოცენტი—62, მასწავლებელი—57, ასისტენტი—77.

პარტიული ძალებით ყველაზე უფრო ძლიერია ეკონომიური ფაკულტეტი, სუსტადაა წარმოდგენილი პარტიული ბირთვი საბუნებისმეტყველო და ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე.

პარტიული კადრების ზრდა პროფესორ-ლექტორთა შორის გადაუდებელი ამოცანაა. ეს უნდა მოხდეს როგორც ახალი კადრების მოწვევით, ისე არსებულ კადრის განთავისუფლებით ადმინისტრატიულ და სხვა არა სამეცნიერო, არა პედაგოგიურ მუშაობიდან, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდება კომუნისტური ბირთვის ხვედრითი წონა სწავლებაში.

### სასწავლო გეგმები და პროგრამები

სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენ უკვე მოგვეპოვებოდა, საფუძვლიანად დამუშავებული სასწავლო გეგმები. სასწავლო გეგმების მთავარი თავისებურებაა მ. თი სტაბილობა, ... საგნების ძირითადად დაძლევა, ადრეული დასპეციალების უარყოფა და პროფილების განსხვავება. სასწავლო გეგმებში შემავალი საგნები დაყოფილია ციკლებათ, გამოყოფილია წამყვანი და სასესიო დისციპლინები, ფაკულტატური საგნები და საწარმოო პრაქტიკა, რომელსაც დათმობილი აქვს სასწავლო დროის 30 პროც.

სასწავლო გეგმებში მიმდინარე სემესტრის განმავლობაში შეტანილ იქნა მცირეოდენი ცვლილებები რუსული ენის სწავლების გაძლიერებასთან, აგრეთვე უნივერსიტეტის გასამხედროებასთან დაკავშირებით.

რუსულ ენაში გადიდებულ იქნა საათების რაოდენობა 88-დან 120-მდე. სამედიცინო კომისიამ შეამოწმა მთელი კონტინგენტი სამხედრო მომზადებისათვის ვარგისობის თვალსაზრისით, ვარგისებისაგან შემდგარი იქნა სპეციალური სამხედრო ჯგუფები და 1 ნოემბრიდან მიმდინარეობს მეცადინეობა (საფეხოსნო და საარტილერიო განხრით).

სასწავლო გეგმებში დაცულია სტუდენტის ნორმალური დატვირთვა (არა უმეტეს 30 საათისა ექვსდღიურში).

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული კათედრების, ფაკულტეტების და მეთოდბიუროს მხრივ პროგრამების გარშემო, კულ

მე-6 გვ.

მიმდინარე სემესტრში საჭირო იყო 147 პროგრამა. გარდა გასული წლის 20-მდე პროგრამისა, რომლებიც უცვლელად იქნა დატოვებული—პროგრამები ხელახლა იქნა დამუშავებული კათედრების მიერ. ნაწილი პროგრამებისა დაყვანილ იქნა სტუდენტობამდე კერძოთ (21), დანარჩენები დაიბეჭდა ლითოგრაფიული წესით და დაყვანილ იქნა თითოეულ სტუდენტამდე. პროგრამების ერთი ნაწილის დაყვანა დაგვიანებით მოხდა—ლითოგრაფიის სუსტი მუშაობის შედეგათ და აგრეთვე იმის გამო, რომ კათედრებმა დააგვიანეს მათი წარმოდგენა.

### კათედრების მუშაობა და სწავლების მეთოდის გაუმჯობესება

ამჟამად სახ. უნ-ში არსებობს 40 კათედრა და ორი საგნობრივი კომისია, რომლებშიაც შედის 177 საგანი.

აქედან ეკონომიურ ფაკ-ზე—6 კათედრა —17 საგნით;

ისტორ. ლიტ. ფ-ზე—13 კათ. და 2 საგ კომ.—60 საგნით;

საბჭ. აღმშ. და სამართლის —4 კათ. საგ. —9 საგნით.

საბუნებისმეტყველო ფაკ-ზე—10 კათ. —58 საგნით.

ფიზ.-მათემ. ფაკ-ზე—7 კათ.—33 საგნით.

ამჟამად არა ყავს გამგე 4 კათედრას, რომელთაც არ მოეპოვებათ საწარმოო გეგმები, დანარჩენ კათედრებს უკვე სემესტრის დასაწყისში ჰქონდათ გეგმები. თითოეული კათედრის მიერ ჩატარებულ იქნა 3-დან 9 სხდომამდე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით კათედრების მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. აღსანიშნავია კათედრების აქტივობა სასწავლო პროცესის დაყენების საქმეში. კათედრებმა კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობით გარდაქმნეს თავისი მუშაობა, კათედრების მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო პროგრამულ-მეთოდიურ საკითხებზე. კათედრების უმრავლესობამ დროზე დაამუშავა პროგრამები.

კათედრებმა დაამუშავეს და თითოეული საგნის თავისებურების მიხედვით კონკრეტიზაცია უყვეს მეთოდ-ბიუროს ინსტრუქცია სწავლების მეთოდების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კათედრები სულ უკანასკნელ ხანებამდე ვერ აქცევდნენ ყურადღებას ახალი მეთოდების გატარებას. შედეგათ მიმდინარე სემესტრის განსაკუთრებით პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა სქოლასტიური სწავლების რეციდივებს, აქტიური მეთოდების უგულებელყოფას და ლექციონობის როგორც ერთად-ერთი მეთოდის გაბატონებას სასწავლო მუშაობაში. ამასთანავე სულ უკანასკნელ ხანებამდე ზოგიერთი პედაგოგი არ აწარმოებდა სტუდენტთა აკადემიურ წარმატებულობის მიმდინარე აღრიცხვას, მიუხედავათ კატეგორიული მითითებისა—მისი წარმოების შესახებ. სწავლების მეთოდების ასეთ დამახინჯებებს სასტიკად ებრძოდა როგორც პარტიული ორგანიზაცია, ისე ფაკულტეტები და კათედრები. შედეგათ დეკემბრის თვეში ძირითადად დაძლეულ იქნა ასეთი განწყობილებები. პროფესორ-ლექტორებმა იწყეს აქად წარმატებით მიმდინარე აღრიცხვა და გადავიდნენ სწავლების აქტიურ მეთოდებზე ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება თითოეული სტუდენტის მუშაობის შეფასება ყველა საგანში. საჭიროა კათედრებმა განამტკიცონ ამ დარგში დეკემბერში მიღწეული შედეგები და კვლავ განაგრძონ ბრძოლა სწავლების სწორი მეთოდიკის დამახინჯების ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ. კათედრები სისტემატიურად ისმენენ საგნის ხელმძღვანელების მოხსენებებს ჯგუფების მდგომარეობის შესახებ; ზოგიერთი მათგანი აწარმოებდა სასწავლო პროცესის კონტროლს ლექციებზე დასწრების გზით (პოლიტ.-ეკონომიის, სოციალ. აღრიცხვის კათედრები). ამას გარდა კათედრები აწარმოებდნენ მუშაობას სახელმძღვანელოების შედგენისა და თარგმნის მიმართულებით. კათედრების უმრავლესობამ წარუდგინა გამომცემლობას პირველ რიგში გამოსაცემათ სახელმძღვანელოები, რომელთა ნაწილი იბეჭდებოდა ხოლო ნაწილი დაიბეჭდება საკუთარი პოლიგრაფიული ბაზის მოწყობის შემდეგ.

კათედრების მუშაობის მთავარ ნაკლათ გარდა აღნიშნულისა უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის სისუსტე, მასიური მუშაობის ვერ გაშლა (საჯარო სხდომები, სხდომები უნივერსიტეტის გარეთ და სხვა), სუსტია აგრეთვე მუშაობა ახალ მეცნიერულ კადრების მომზადებისათვის.

### იდეოლოგიური ფრონტი

მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდის დაცვა მთელს სასწავლო და მეცნიერულ-საკვლევო მუშაობაში—კათედრების ცენტრალური ამოცანაა. აქეთკენ იყო მიმართული უნ-ტის მთელი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. ყველა კათედრა თანაბარ აქტივობას ვერ იჩენდა ამ დარგში.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა ამ მხრივ ეკონომიური ფაკულტეტის კათედრებმა (პროგრამების კრიტიკული განხილვა, საჯარო სხდომების ჩატარება პოლ. ეკონ. კათედრის მიერ პ. გუგუშვილის წიგნის „ეკონომიური ფორმაციების" გარშემო, გაშლილი კრიტიკა ლექტორ გაგუას და ძამუჯგალაძის ანტიმარქსისტულ დებულებებისა სოც. აღრიცხვის კათედრის მიერ და სხვ.). ჩატარდა აგრეთვე საბუნებისმეტყველო დისციპლინათა პროგრამების განხილვა—ფაკულტეტის საერთო სხდომაზე, სადაც მხილებულ იქნა მთელ რიგ პროგრამებში გატარებული ანტიმარქსისტული დებულებანი, (გენეტიკა, ქიმია და სხვ.).

ასეთივე მუშაობა ჩაატარეს საბჭ. აღმშ. და სამართლის კათედრებმა, რის შედეგათაც ხმარებიდან იქნა ამოღებული უვარგისი პროგრამები და გაკრიტიკებულ იქნა ზოგიერთ პროგრამის შემცდარი დებულებანი.

პროგრამების გაუმჯობესების, მათგან მექანისტური და იდეალისტური დამახინჯებების განდევნის საქმე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ჯერ კიდევ არ არის ვერ რჩეული ის სახელმძღვანელოები, რომლებითაც ჩვენი სტუდენტობა სარგებლობს, ამ მხრივ კათედრებმა დიდი და ინტენსიური მუშაობა უნდა ჩაატარონ მეორე სემესტრში.

სასტიკი, შეურიგებელი, ბოლშევიკური ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველი ჯურის გადახრებს და უცხო, მტრული იდეოლოგიების გამოვლენის ყოველგვარ ცდებს.

### კაბინეტები და ლაბორატორიები

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლების დაყენებისათვის კაბინეტებსა და ლაბორატორიებს. წარსულში ცალკე ინსტიტუტების არსებობის დროს სათანადო ყურადღება ვერ ექცეოდა მათ მოწყობა-შევსებას და დაფინანსებას. კაბინეტები და ლაბორატორიები ყოვლად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როგორც ბინის, ისე მოწყობილობის მხრივ. უნივერსიტეტის დაარსებიდან იწყება კაბინეტების და ლაბორატორიების მუშაობის გარდაქმნა. რაც მთავარია, გაძლიერდა მათი დაფინანსება, იგება ქიმიური კორპუსი, ხდება ფიზიკის კაბინეტის სრული რეკონსტრუქცია, ჩატარდა მთელი რიგი შეკეთებებისა ქიმიურ ლაბორატორიებში, შეძენილ იქნა დამატებითი აპარატები. დაარსებულ იქნა ახალი კაბინეტები (გეოფიზიკის, სახ. მეურ. აღრიცხვის, ფინანსების და კრედიტის საქონლის მცოდნეობის). კაბინეტების წინაშე დასახულია ახალგაზრდა კადრების მომზადების ამოცანა, რომელსაც აქამდე ისინი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ. განსაკუთრებით აუცილებელია პარტკომკავშირული ბირთვის გადიდება ასისტენტებსა და ლაბორანტებს შორის.

### ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის

ყურადღების ცენტრში იდგა სასწავლო რეჟიმის განმტკიცების ამოცანა. შედგენილ იქნა მტკიცე ცხრილი, გატარდა აუდიტორიების განაწილება. პარტიული ორგანიზაცია და ადმინისტრაცია სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა გაცდენების წინააღმდეგ. ამ მიმართულებით დიდი როლი ითამაშეს ჯგუფის ხელმძღვანელებმაც. შედეგათ გაცდენებმა იკლო, თუმცა ის მაინც საკმაოდ მაღალ დონეზე დგას.

მასწავლებელთა მიერ გაცდენილ იქნა 850 საათი.

| | |
|---|---|
| აქედან ავადმყოფობის გამო | 212 ს. |
| მივლინების გამო | 188 ს. |
| საზ. დავალებათა შესრ. გამო | 124 ს. |
| არა საპატიო მიზეზით | 324 ს. |

ხშირი იყო მივლინებებში წასვლის შემთხვევები ადმინისტრაციის ნებადაურთველად. არასაპატიო გაცდენების წინააღმდეგ საჭიროა კიდევ უფრო მკაცრი ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დაზღვეული არა ვართ, რომ მეორე სემესტრში ასეთივე სურათს არ მივიღებთ. **არა საპატიო გაცდენები მთლიანად უნდა აღმოიფხვრას**—აი ამოცანა, რომლის შესასრულებლად უნდა გაშალოს მუშაობა უნივერსიტეტის ყველა რგოლებმა.

საკმაოდ დიდია სტუდენტთა გაცდენებიც.

| | | |
|---|---|---|
| სექტემბერში | 10138 | სტუდ.-საათ. |
| ოქტომბერში | 18062 | " " |
| ნოემბერში | 17930 | " " |
| დეკემბერში | 15029 | " " |

სულ 62871 ანუ 5,8% ერთი კათედრის სწავლებული სტუდენტ საათის გაცდენების აღმოფხვრის საქმეში მისაბაძი როლი უნდა ითამაშონ პარტიის წევრებმა და კომკავშირელებმა. სამწუხაროდ დღემდე ეს ასე არ არის. პარტიის კრთ წევრზე მოდის სემესტრში—20,7 ს. გაცდენა კომკავშირელზე—19,3 საათი. ეს მეტად არანორმალური მდგომარეობაა, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

### სასწავლო გეგმების შესრულება

სასწავლო გეგმების შესრულება ფაკულტეტების მიხედვით ასეთს სურათს იძლევა:

| | გეგმით | შეს-ულება | გაცდენილი | მიცემ. დამ. ს. | სულ | შესრულ. პროცენ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბუნებისმეტყველო | 8404 | 8322 | 82 | 284 | 8606 | 102,0 |
| ფიზ. მათემ. | 3604 | 3582 | 22 | 60 | 3642 | 101,2 |
| ეკონომიური | 15970 | 14966 | 1024 | 1024 | 15980 | 100,2 |
| სამართლის | 3674 | 3216 | 458 | 465 | 3681 | 100,2 |
| ისტორიული | 9048 | 8900 | 148 | 166 | 9066 | 100,2 |
| სულ: | 40710 | 38976 | 1754 | 1999 | 40975 | 100,66 |

გაცდენებს უმთავრესად (გარდა მცირე-დი გამონაკლისისა) ადგილი ქონდა ნოემბრის ბოლო რიცხვებამდი.

ნოემბრის ბოლო რიცხვებისათვის ჩვენ ვიდექით სასწავლო გეგმის გარღვევის ფაქტის წინაშე; იყო საფრთხე, რომ სემესტრის გეგმის შესრულებაში სერიოზული დანაკლისი იქნებოდა. პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით მე-17 ყრილობისათვის მზადებასთან და უმაღლეს სასწავლებელთა მე-2 საკავშირო შეკრებასთან ჩამასთან დაკავშირებით მთელი სტუდენტობის და პროფესორ-ლექტორთა ყურადღება მიპყრობილი იყო გარღვევის ლიკვიდაციის საკითხზე. პროფესორ-ლექტორებთა საერთო კრებამ დეკემბრის თვე გამოაცხადა მე-17 ყრილობის სახელობის ლაშქრობის თვეთ. დასახულ იქნა ამოცანად: გეგმის ყოველ მიზეზს გარეშე შესრულება, ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარების ორგანიზაცია და მომზადებული შეხვედრა სესიებისათვის. თითოეული მასწავლებლის მიერ აღებული იქნა ინდივიდუალური ვალდებულება დამატებითი სალექციო საათების და კონსულტაციის ჩატარების შესახებ. ამ მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო, მან საშუალება მოგვცა გეგმა გადაჭარბებით შეგვესრულებია.

ზემო მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, რომ მიცემულ იქნა დამატებით 1999 სალექციო საათი.

საანგარიშო სემესტრში თეორიული მეცადინეობა დამთავრა ინსტიტუტებიდან დარჩენილ ყველა სალიკვიდაციო ჯგუფებში. გამოშვებულია 14 ჯგუფი — 429 კაცის რაოდენობით, რომლებიც გადაეცა სათანადო სახ. კომისარიატებს განაწილებლად.

### სწავლების ხარისხი

სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესების, სასწავლო რეჟიმის განმტკიცების, შრომის დისციპლინის ამაღლების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა სწავლების ხარისხი. ლექცია არ წარმოადგენს უბრალო შესავალ სიტყვას, არამედ მასში ისმება და შუქდება გასავლელი პრობლემები. მასალის დამუშავებაშიაც დიდი გაუმჯობესება იქნა შეტანილი.

ჯგუფებში ჩვენ გვაქვს აქტივობა, მრავალი კითხვების მიცემა მასწავლებლისთვის და ლიტერატურის დამუშავებისადმი სერიოზული მოპყრობა. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ახალი მეთოდების დაუფასებლობასთან ბრძოლის გაძლიერების შედეგად—პედაგოგების დიდი უმრავლესობა უკვე სათანადო ყურადღებას აქცევს მასალის დამუშავებას. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას დიდათ შეუწყო ხელი სასწავლო პროცესის კონტროლმა, რომელსაც სისტემატიურად აწარმოებდა მეთოდ-ბიურო, ფაკულტეტები და ზოგიერთი კათედრა. სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო ჩამორჩენილ სტუდენტთა დახმარების ორგანიზაციამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოცშეჯიბრების და დამკვრელობის უდიდესი როლი ამ საქმეში.

ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების და დამხმარე სასწავლო ლიტერატურის უქონლობა მთელ რიგ დისციპლინებში, რაც შეუძლებელს ხდის მასალის დამუშავებას და იძულებულს ხდის სტუდენტობას კონსპექტებით დაკმაყოფილდეს, რაც ყოვლად მოუთმენელია.

სწავლების ხარისხი, სასწავლო პროცესის ყოველმხრივ გაუმჯობესება ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს მეორე სემესტრში, სესიების ჩატარების დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი ლექტორი დიდ ლიბერალობას იჩენს „ფრიადების" აღნიშვნაში. ჩვენი ამოცანად უნდა დავისახოთ ის, რომ ნიშნები შეეფერებოდეს სტუდენტის ცოდნას. ამიტომ ამგვარ ლიბერალიზმს სასტიკად უნდა შევებრძოლოთ.

### სასესიო გამოცდები

მოსამზადებელი მუშაობა სასესიო გამოცდებისათვის დაწყებულ იქნა დეკემბრის დასაწყისში. გამოყოფილ იქნა სასესიო საგნები და დაყვანილ იქნა ისინი თითოეულ სტუდენტამდე. შედგენილ იქნა კომისიები. სესიები სწარმოებდა 25 დეკემბრიდან 3 იანვრამდე. სტუდენტობა უსათუოდ მომზადებული შეხვდა სესიებს. პროფესორ-პედაგოგთა თითქმის ერთსულოვანი აზრით სტუდენტობა გაცილებით უფრო მომზადებული მოვიდა წელს საგამოცდო სესიებზე ვიდრე წარსულში. არის ჯგუფები, რომლებშიაც სრულებით არ მოიპოვებიან სუსტები.

ცალკე ფაკულტეტების მიხედვით მიღებულ იქნა შემდეგი საშუალო ნიშნები:

| | სასესიო საგნებ. | არა სესიოსაგნ. |
|---|---|---|
| ეკონომიურ ფაკულტეტზე | 3,7 | 3,8 |
| საბჭ. აღმშ. და სამართლის | 3,93 | 3,7 |
| ისტორიულ-ლიტერ. | 3,8 | 3,8 |
| ფიზიკო-მათემატიკ. | 3,8 | 3,8 |
| საბუნებისმეტყველო | 3,5 | 3,52 |

სესიები უსათუოდ მოწმობენ სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

სასესიო და არასასესიო საგნებში მთელ უნივერსიტეტში მიღებულ იქნა საშუალო ნიშანი 3,74, სასესიო საგნებში—3.77; არასასესიო საგნებში—3.73.

სულ მიღებულ იქნა ყველა კურსებზე შემდეგი შეფასებები:

| | ყველა საგნებში | სასესიო საგნებში |
|---|---|---|
| ფრიადი | 3232 | 1435 |
| კარგი | 5632 | 2006 |
| დამაკმაყოფ. | 6182 | 2218 |
| არადამაკმაყ. | 445 | 261 |
| შეუფასებ. | 1330 | 822 |

ამჟამად მუშავდება ცნობები აკადემიური წარმატებულობისა პარტიულების და სოციალური მდგომარეობის მიხედვით, რომელსაც ცალკე გამოვაქვეყნებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ იყო ნაკლიც სესიების მიმდინარეობაში. ნაწილი მასწავლებლები დაგვიანებით ცხადდებოდა გამოცდებზე, ხშირი იყო კომისიის წევრების არ გამოცხადების შემთხვევებიც, მიუხედავად იმისა, რომ ყველა წინასწარ იყო გაფრთხილებული.

ნაწილობრივ ადგილი ქონდა პედაგოგების გადატვირთვას, რის გამოც ზოგან გამოცდები მოკლე კითხვა-პასუხის ფორმას იღებდა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისეთი არანორმალური მდგომარეობა, როცა სტუდენტობის ერთი ნაწილი ცდილობდა გავლენა მოეხდინა მასწავლებლებზე ნიშნების გასწორების მიზნით.

მიმდინარე სემესტრის და სესიების გამოცდილება ფართოდ უნდა იქნეს დამუშავებული სტუდენტთა მასაში. ეს გამოცდილება საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს მუშაობას მეორე სემესტრში.

**გ. ძიგრაშვილი.**

---

წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც შეჯამებულ იქნა სესიების და დამატებითი გამოცდების შედეგები. ამის გამო სათანადო ცნობები ამ წერილში ვერ შევიდა. დამატებითი მასალები დაიბეჭდება ჩვ. გაზ. მორიგ ნომერში. **რედ.**

### შეცდომის გასწორება

გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის" მეხუთე ნომერში ამხ. ერმ. ბურჭულაძის წერილში „ძირეულ პარტორგანოების ანგარიშ-ჩაბარება და გადარჩევები დასრულდა" —შეცდომით იყო აღნიშნული, რომ სიღნაღის? სუსტი პარტორგია.

## მე-XVII პარტყრილობის სახელობის წითელი დაფა

### ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორჯონიკიძის რაიონის პარტრაიკომის წარდგენით გაზეთ „კომუნისტი"-ს მიერ შეტანილია XVII პარტყრილობის სახელობის წითელ დაფაზე



ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფესორ - მასწავლებელთა კოლექტივი მტკიცედ ატარებს მუშაობას ლოზუნგით „არც ერთი ჩამორჩენილი სტუდენტი".

სწავლებაში ჩამორჩენილი კომუნისტი სტუდენტების რიცხვი 15 პროცენტს შეადგენდა, ამჟამად ეს პროცენტი დაყვანილია ნოლამდე.

პირველი სემესტრის სასწავლო გეგმები უნივერსიტეტმა 100,66 პროცენტით შეასრულა.

მეორე ხუთწლედის სესხზე ხელის მოწერის ვადაზე ადრე წარმატებით ჩატარებისათვის სახ. უნივერსიტეტმა მიიღო გარდამავალი დროშა (სესხის რეალიზაციის საკონტროლო ციფრი შესრულებულია 118,3 პროცენტით.



უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია იძლევა პარტმუშაობის მისაბაძ ნიმუშებს: დახმარება ჩამორჩენილ სტუდენტებს, სოფლად სტუდენტების რაციონალურად გამოყენება, რაც მოწონებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ტფილისის კ-ის მიერ. ტფ. უნივერსიტეტის ეს გამოცდილება, პარტიის დადგენილების თანახმად, გამოყენებულ იქნა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

პარტიულ სწავლებაში ჩაბმულია კომუნისტების 100 პროცენტი და მათთან ერთად კომკავშირელთა, პროფესორ - მასწავლებელთა, მოსამსახურეების და უმცროს მოსამსახურეთა პერსონალის აბსოლუტური უმრავლესობა.

ს. ს. ს. რ. ცაკის დადგენილების საფუძველზე სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო სასწავლო გეგმების მთლიანად შესრულება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შესძლო მიმდინარე წელს პროფესორ - პედაგოგიურ, ადმინისტრატიულ - ტექნიკურ პერსონალში პარტკომკავშირული ფენის 20 პროცენტიდან 30 პროცენტამდე აყვანა. უნივერსიტეტმა შეძლო მრავალ მხრივი მეურნეობის გაჯანსაღება. ჩატარებულია შენობის კაპიტალური რემონტი და დაწყებულია ახალი კორპუსების მშენებლობა.

გაუმჯობესდა სტუდენტთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობები, საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილია 913 სტუდენტი სტიპენდიით უზრუნველყოფილია სტუდენტთა 63 პროცენტი, სასადილოთი 72 პროც.

სახ. უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია ბოლშევიკურად იბრძვის იდეოლოგიურ ფრონტზე, ის გამანადგურებელ ბრძოლას აწარმოებს პროფესურის რეაქციული ნაწილის კონტრრევოლუციური ტროცკიზმის, მენშევიზმის რეციდივების, მემარჯვენე და მემარცხენე გადახრების წინააღმდეგ ბოლშევიკური კრიტიკის ცეცხლში ატარებს სახელმძღვანელო მეცნიერულ ნაშრომებსა და პროგრამებს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია პროფესორი **ლ. აღნიაშვილი**, პარტკომის მდივანია **მინდაძე**, აღმასკომის თავმჯდომარეა **ქ. ბარათელია**.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამოვიდა და იყიდება

ელემენტთა პერიოდული სისტემა მისი თანამედროვე სახით, დიდი ზომის (1,0×94) ფასი 3 მანეთი.

ორლოვას ქიმიური ამოცანები და ვარჯიში ფასი 1 მ. 50 კაპ.

იბეჭდება

ელემენტთა პერიოდული სისტემა

იმ სახით, რომელიც იგი მოთავსებულია დ. ი. მენდელეევის „ქიმიის საფუძვლები"-ს მერვე გამოცემაში, რომელიც დ. მენდელეევის სიცოცხლეში გამოვიდა. ფასი 2 მან.

შეძენა შეიძლება უნივერსიტეტის გამომცემლობის კიოსკში.

სტამბა „კომუნისტი" კაოს ქ. №68 მთავლიტის რწმ. გ. № 148